

სს „ტერაბანკი“

2017 წლის  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

## სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს KPMG Georgia  
ბესიკის ქ #4  
თბილისი, 0108,  
საქართველო  
ტელეფონი: +995 322 93 5713  
ინტერნეტი: www.kpmg.ge

## დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „ტერაბანკის“ აქციონერებს

### დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „ტერაბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებებისა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, და სხვა ასხნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებით ასპექტში, სამართლიანად ასახავს „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებულ საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

### დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ები) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, ჩვენ ვართ „ჯგუფისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

### ხელმძღვანელობის ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს „ხელმძღვანელობის ანგარიშზე“. „ხელმძღვანელობის ანგარიში“ ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ჩვენთვის წინამდებარე აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღის შემდეგ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს „ხელმძღვანელობის ანგარიშს“ და ჩვენ არანაირი ფორმით არ გავცემთ მასთან დაკავშირებულ მტკიცებულებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა მოიცავს „ხელმძღვანელობის ანგარიშის“ წაკითხვას მას შემდეგ, რაც ის ხელმისაწვდომი გახდება და, შესაბამისად, იმის განსაზღვრას არის თუ არა „ხელმძღვანელობის ანგარიში“ არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მიღებულ ცოდნასთან მიმართებაში, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს.



„ხელმძღვანელობის ანგარიშის“ წაკითხვისას, ჩვენ გამოგვაქვს დასკვნა იმასთან დაკავშირებით:

- შეესაბამება თუ არა სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ხომ არ მოიცავს ის არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს თუ არა ის ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ და მასთან შესაბამისობაში მყოფ ყველა ინფორმაციას.

**ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს „ჯგუფის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი, საჭიროებისამებრ გასცეს ინფორმაცია უწყვეტი ფუნქციონირების საკითხებთან დაკავშირებით და გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის აღნიშნული პრინციპი მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს „ჯგუფის“ ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს ოპერაციები, ან არ ექნება რაიმე სხვა სამართლიანი ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული ქმედებებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აგებენ „ჯგუფის“ ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენს მიზანს წარმოადგენს გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობებს ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტის მიზნებისთვის რელევანტურ შიდა კონტროლის მექანიზმებს ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა „ჯგუფის“ შიდა



- კონტროლის ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას.
  - გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს „ჯგუფის“ საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს „ჯგუფის“, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
  - ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს სამართლიანად;
  - მოვიპოვეთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ორგანიზაციის ფინანსური ინფორმაციის და „ჯგუფის“ ფარგლებში ბიზნეს საქმიანობის შესახებ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აზრის გამოსახატად. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ „ჯგუფის“ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შედეგებზე. ჩვენ ვინარჩუნებთ პასუხისმგებლობას აუდიტორთა დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი შედეგების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებში აღმოჩენილი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული „დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა“ გაიცა, არის:

ენდრიუ კოქსშელი




შპს „KPMG Georgia“  
 თბილისი, საქართველო  
 3 მაისი 2018 წელი






ლარი '000	შენიშვნები	2017	2016
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	88,803	91,555
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში		76,551	72,573
კლიენტებზე გაცემული სესხები	6	559,942	434,943
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	5	53,333	29,465
ძირითადი საშუალებები	7	18,742	18,154
სხვა არამატერიალური აქტივები		2,788	4,109
დასაკუთრებული უზრუნველყოფა	6	13,865	22,084
სხვა აქტივები		4,353	3,383
გუდვილი	8	20,374	20,374
<b>სულ აქტივები</b>		<b>838,751</b>	<b>696,640</b>
<b>ვალდებულებები</b>			
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	10	65,214	10,696
დეპოზიტები და ვალდებულებები ბანკების წინაშე	13	16,952	416
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან	14	579,626	520,602
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	9	276	315
სხვა ვალდებულებები	15	14,557	12,408
სუბორდინირებული სესხები	11	31,706	33,705
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>708,331</b>	<b>578,142</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>			
სააქციო კაპიტალი	16	121,372	121,372
აკუმულირებული მოგება/(აკუმულირებული ზარალი)		9,048	(2,874)
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>130,420</b>	<b>118,498</b>
<b>სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი</b>		<b>838,751</b>	<b>696,640</b>

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2018 წლის 3 მაისს ხელმძღვანელთა საბჭოს მიერ და ამ უკანასკნელის სახელით ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

  
 თეა ლორთქიფანიძე  
 გენერალური დირექტორი

  
 სოფიო ჯულელი  
 ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-53 გვერდებზე.

ლარი '000	შენიშვნები	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი	17	63,080	63,093
საპროცენტო ხარჯი	17	(29,479)	(36,029)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>33,601</b>	<b>27,064</b>
სესხის გაუფასურების ზარალი	6	(4,461)	(10,014)
წმინდა საკომისიო შემოსავალი	18	3,371	2,744
წმინდა შემოსულობა უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან		6,935	3,483
წმინდა (ზარალი)/შემოსულობა ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან		(931)	5,206
სხვა შემოსავალი		2,420	917
<b>საოპერაციო შემოსავალი</b>		<b>40,935</b>	<b>29,400</b>
სახელფასო ხარჯები		(12,763)	(10,149)
ცვეთა და ამორტიზაცია		(4,641)	(4,162)
სხვა ანარიცხები		(1,930)	(426)
სხვა საოპერაციო ხარჯები	19	(9,718)	(9,409)
<b>მოგება დაბეგრამდე</b>		<b>11,883</b>	<b>5,254</b>
მოგების გადასახადის სარგებელი	9	39	282
<b>მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში</b>		<b>11,922</b>	<b>5,536</b>

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-53 გვერდებზე.

'000 ლარი	აკუმულირებული მოგება/		
	სააქციო კაპიტალი	(აკუმულირებული ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 1 იანვარს	111,000	(8,410)	102,590
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	5,536	5,536
<b>პირდაპირ კაპიტალში აღრიცხული ოპერაციები მესაკუთრებთან</b>			
სააქციო კაპიტალის გამოშვება (განმარტებითი შენიშვნა 16)	10,372	-	10,372
<b>ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>121,372</b>	<b>(2,874)</b>	<b>118,498</b>
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	121,372	(2,874)	118,498
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	11,922	11,922
<b>ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>121,372</b>	<b>9,048</b>	<b>130,420</b>

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-53 გვერდებზე.



ლარი '000	შენიშვნები	2017	2016
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან</b>			
მიღებული პროცენტი		61,466	62,047
გადახდილი პროცენტი		(29,986)	(38,487)
მიღებული საკომისიო თანხები		7,928	6,348
გადახდილი საკომისიო თანხები		(4,051)	(3,512)
უცხოურ ვალუტაში შემდგარი გარიგებებიდან და უცხოურ ვალუტაში ნომინირებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული შემოსულობა ზარალის გამოკლებით		6,935	3,483
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		2,420	937
გადახდილი პერსონალის ხარჯები		(10,674)	(10,551)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(8,982)	(9,406)
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე</b>		<b>25,056</b>	<b>10,859</b>
<i>კვლილებები:</i>			
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში		(4,228)	(21,536)
კლიენტებზე გაცემულ სესხებში		(130,379)	13,199
სხვა აქტივებში და დასაკუთრებულ უზრუნველყოფაში		5,389	(917)
დეპოზიტებსა და ბანკში არსებულ ნაშთებში		16,834	(36,805)
მიმდინარე ანგარიშებსა და დეპოზიტებში კლიენტებისგან		60,276	49,140
სხვა ვალდებულებები		(2,494)	2,917
<b>წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან / (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა საოპერაციო ფულადი სახსრები)</b>		<b>(29,546)</b>	<b>16,857</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>			
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა		(30,076)	(13,564)
შემოსავალი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან		5,752	18,100
ძირითადი საშუალებები შეძენა		(2,950)	(4,134)
სხვა არამატერიალური აქტივების შეძენა		(956)	(1,183)
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>		<b>(28,230)</b>	<b>(781)</b>
<b>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან</b>			
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები		59,467	-
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების დაფარვა		(6,358)	(11,726)
სუბორდინირებული სესხების დაფარვა		(1,271)	(693)
სააქციო კაპიტალის გამოშვებით მიღებული თანხები		-	5,433
<b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობებიდან/(ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები)</b>		<b>51,838</b>	<b>(6,986)</b>
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		3,186	576
<b>წმინდა (კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში</b>		<b>(2,752)</b>	<b>9,666</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>	4	<b>91,555</b>	<b>81,889</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	4	<b>88,803</b>	<b>91,555</b>

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-53 გვერდებზე.

## 1. ანგარიშვალდებული საწარმო

### (ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

„ჯგუფი“ საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად, მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას „ჯგუფის“ ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

### (ბ) ორგანიზაცია და საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს „ტერაბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) ფინანსურ ანგარიშგებას. „ბანკი“ დაარსდა საქართველოში, როგორც სააქციო საზოგადოება 2007 წლის 30 დეკემბერს იურიდიული სახელწოდებით „სს კორ ბანკი“. 2016 წლის 23 მაისს „ბანკმა“ შეიცვალა იურიდიული სახელწოდება სს „ტერაბანკად“. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 204546045.

„ბანკის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს დეპოზიტების მიღებას, სამომხმარებლო ანგარიშების მართვას, საკრედიტო ოპერაციებს, გარანტიების გაცემას, ფულადი სახსრებისა და საანგარიშსწორებო ოპერაციებს და ფასიან ქაღალდებსა და უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციებს. „ბანკის“ საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ). „ბანკი“ ფლობს 2008 წლის 25 იანვარს სებ-ის მიერ გაცემულ გენერალურ საბანკო ლიცენზიას.

„ბანკის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია ქ. წამებულის გამზირი №3, თბილისი 0103, საქართველო. „ბანკს“ აქვს 26 ფილიალი, სერვის ცენტრი და სერვის დესქი, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ყველა მთავარ ქალაქში.

„ბანკს“ ჰყავს ერთი შვილობილი კომპანია - შპს „სტანდარტ დაზღვევა“, რომელსაც არ განუხორციელებია ოპერაციები 2017 და 2016 წლებში.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბანკის“ სააქციო სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

მესაკუთრეები	საკუთრების პროცენტი, %
შეიხი ნაჰაიან მაზარაქ ალ ნაჰაიანი	45%
შეიხი ჰამდან ბინ ზაედ ალ ნაჰაიანი	20%
შეიხი მოჰამად ბუტი ალ ჰამედი	15%
შეიხი მანსურ ბინ სულთან ალ ნაჰაიანი	15%
შპს „ინვესტმენტ ტრედიინგ გრუპ“	5%
	<b>100%</b>

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან დეტალურად არის აღწერილი 24-ე შენიშვნაში.

## 2. მომზადების საფუძვლები

### (ა) შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

**(ბ) შეფასების საფუძველი**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც აისახება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

**(გ) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა**

„ჯგუფის“ სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი (GEL), რომელიც წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ვალუტას. ის ასახავს ძირითადი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს.

ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისთვის.

**(დ) შეფასებების და დაშვებების გამოყენება**

ფას-ებთან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენებას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების წარდგენილ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან.

შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აისახება იმ პერიოდში, როდესაც გადაიხედა ეს შეფასება და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელსაც ის ეხება.

ინფორმაცია შეფასების განუსაზღვრელობის და სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული კრიტიკული დაშვებების მნიშვნელოვანი არეების შესახებ მოცემულია შემდეგ განმარტებით შენიშვნებში:

- სესხის გაუფასურების შეფასება – შენიშვნა 6;
- გუდვილის გაუფასურების ტესტი – შენიშვნა 8.
- ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასება – შენიშვნა 22.

**(ე) ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკებსა და პრეზენტაცია**

„ჯგუფმა“ მიიღო სტანდარტების შემდეგი ცვლილებები, რომელთა თავდაპირველი გამოყენების თარიღია 2017 წლის 1 იანვარი:

- *ინფორმაციის გაცემის ინიციატივა (ბასს 7-ის ცვლილება)*. ბასს 7 (ფულადი ნაკადების ანგარიშგება) შეიცვალა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს უფრო ფართო ინიციატივის ფარგლებში ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და მასში წარმოდგენილი ინფორმაციის გაცემის გაუმჯობესების მიზნით. ცვლილება საჭიროებს ისეთი ინფორმაციის გაცემას, რომელიც ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს შეაფასონ ცვლილებები ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში, მათ შორის ცვლილებები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი ნაკადებიდან და არაფულადი ცვლილებებიდან. ამ ახალი მოთხოვნის დაკმაყოფილების ერთერთ გზას წარმოადგენს ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილი ვალდებულებებისთვის საწყისი და საბოლოო ნაშთების შეჯერების განხორციელება. თუმცა, მიზანი შესაძლებელია სხვაგვარადაც იქნას მიღწეული.
- *გადავადებული გადასახადის აქტივის აღიარება განუხორციელებელი ზარალებისთვის (ბასს 12-ის ცვლილება)*. ბასს 12-ის (მოგებიდან გადასახადები) ცვლილებით განიმარტება, რომ დაქვითვადი დროებითი ცვლილებების არსებობა ერთპიროვნულად არის დამოკიდებული აქტივის საბალანსო ღირებულების მის საგადასახადო ბაზასთან შედარებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და მასზე არ მოქმედებს შესაძლო მომავალი ცვლილებები აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან მისი აღდგენის მოსალოდნელ წესზე. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საგადასახადო ბაზა სავალდებულო ინსტრუმენტის

საწყის ღირებულებაზე დარჩება, ადგილი ექნება დროებით სხვაობას. ცვლილებებიდან ჩანს, რომ საწარმოს შეუძლია აღიაროს გადავადებული საგადასახადო აქტივი, თუ კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში მისი საგადასახადო ამონაგების მომავალი საბოლოო შედეგი მოსალოდნელია იყოს ზარალი.

- ფასს-ების 2014-2016 წლების ციკლის ყოველწლიური გაუმჯობესება - სხვადასხვა სტანდარტი (ფასს 12-ის ცვლილება). ფასს 12-ი (განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში) იძლევა განმარტებას, რომ ინფორმაციის გაცემის მოთხოვნები სხვა საწარმოებში არსებული ინტერესებისთვის ასევე ვრცელდება ინტერესზე, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც გასაყიდად ან გასავერცელებლად ხელმისაწვდომი.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენება წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდში როგორც „ბანკის“, ისე მისი შვილობილი კომპანიის მიერ.

#### კონსოლიდირების საფუძველი

##### შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ „ჯგუფის“ მიერ კონტროლირებულ ინვესტირების ობიექტებს. „ჯგუფი“ აკონტროლებს ინვესტირების ობიექტს, თუ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ცვალებადი შემოსავალი საინვესტიციო ობიექტში მონაწილეობის შედეგად და შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ასეთ შემოსავალზე საინვესტიციო ობიექტთან მიმართებაში არსებული უფლებამოსილების გამო. კერძოდ, „ჯგუფი“ ახდენს მის მიერ ფაქტობრივად კონტროლირებული ინვესტირების ობიექტების კონსოლიდირებას, მათ შორის ისეთი ვითარებებში, როდესაც გირავნობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლებები საკრედიტო ოპერაციაზე ხდება მნიშვნელოვანი. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შედის ამგვარი კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტამდე.

##### კონსოლიდაციით გაუქმებული ოპერაციები

„ჯგუფის“ შიდა ნაშთები და ოპერაციები და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიშობა „ჯგუფის“ შიდა ოპერაციებიდან, უქმდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

##### უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება ქართულ ლარში ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო დღეს კონვერტირდება ლარში ამ დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. მონეტარულ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა (რომელიც დაკორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდების გათვალისწინებით) და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით კონვერტირდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია ისტორიული ღირებულების პირობით უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება ოპერაციის დღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით.

კონვერტაციით გამოწვეული საკურსო სხვაობები აისახება მოგებაში ან ზარალში.

## ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, წარმოადგენს ფინანსურ აქტივებს ან ვალდებულებებს, რომლებიც:

- შეძენილია ან აღებულია მხოლოდ გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით უახლოეს ვადებში;
- ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომლებიც ერთად იმართება და რომლისთვისაც მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს;
- წარმოებული ინსტრუმენტია (იმ წარმოებულის გამოკლებით, რომელიც არის ფინანსური გარანტიის კონტრაქტი, ან ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტადაა მიჩნეული), ან
- თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით აღრიცხვისთვის მოგებაში ან ზარალში ასახვით.

„ჯგუფს“ შეუძლია მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახოს ფინანსური აქტივი ან ვალდებულება, როდესაც:

- აქტივები ან ვალდებულებები იმართება, ფასდება ან აღირიცხება ორგანიზაციის შიგნით სამართლიანი ღირებულების საფუძველზე;
- ამგვარი აღიარება აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს სააღრიცხვო უზუსტობებს, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ ადგილი, ან
- აქტივი ან ვალდებულება მოიცავს ჩართულ წარმოებულ ინსტრუმენტს, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის ფულად ნაკადებს, რაც სხვა შემთხვევაში მოთხოვნილ იქნებოდა ხელშეკრულების საფუძველზე.

ყველა სავაჭრო წარმოებული ინსტრუმენტი წმინდა მოთხოვნის პოზიციაში (დადებითი სამართლიანი ღირებულება), ისევე როგორც შეძენილი ოფციონები, აღირიცხება როგორც აქტივები. ყველა სავაჭრო წარმოებული ინსტრუმენტი წმინდა ვალდებულების პოზიციაში (უარყოფითი სამართლიანი ღირებულება), ასევე გამოწერილი ოფციონი, აღირიცხება როგორც ვალდებულება.

ხელმძღვანელობა ამ კატეგორიაში ფინანსური ინსტრუმენტების შესაბამის კლასიფიკაციას განსაზღვრავს საწყისი აღიარების დროს. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და საწყისი აღიარების დროს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური ინსტრუმენტები არ რეკლასიფიცირდებიან მოგებაში ან ზარალში აღიარებული სამართლიანი ღირებულების კატეგორიიდან.

ფინანსური აქტივები, რომლებსაც შესაძლოა დაეკმაყოფილებინათ სესხებისა და მოთხოვნების განსაზღვრება, შესაძლოა რეკლასიფიცირებულ იქნან მოგებაში ან ზარალში აღიარებული სამართლიანი ღირებულების ან გასაყიდად ხელმისაწვდომი კატეგორიიდან, თუ „ჯგუფს“ ექნება განზრახვა და შესაძლებლობა იქონიოს ისინი ახლო მომავლისთვის ან მათი ვადის გასვლამდე. სხვა ფინანსური ინსტრუმენტები შესაძლოა რეკლასიფიცირებულ იქნან სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის კატეგორიიდან მხოლოდ იშვიათ ვითარებებში. იშვიათი ვითარებები წარმოიშვება ერთჯერადი მოვლენიდან, რომელიც არის უჩვეულო და რომლის განმეორებით მოხდენა ნაკლებად სავარაუდოა ახლო მომავალში.

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ სესხებისა და მოთხოვნებისა:

- რომელთა გაყიდვის სურვილიც „ჯგუფს“ აქვს დაუყოვნებლივ ან უახლოეს დროში;
- რომლებსაც „ჯგუფი“ თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულებით ასახავს მოგებაში ან ზარალში;
- რომლებსაც „ჯგუფი“ თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომს, ან,
- როდესაც „ჯგუფი“ ვერ ახდენს პირველადი ინვესტიციების სრულად ამოღებას, გარდა კრედიტუნარიანობის გაუარესების მიზეზით გამოწვეული შემთხვევებისა.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით და ფიქსირებული ვადით, რომელთა ვადამდე ფლობის

განზრახვა და უნარიც გააჩნია „ჯგუფს“, გარდა აქტივებისა, რომლებსაც:

- „ჯგუფი“ საწყისი აღიარებისას ასახავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში;
- „ჯგუფი“ განსაზღვრავს გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიაში ან,
- რომლებიც შეესაბამებოდა სესხებისა და მოთხოვნების განმარტებას.

გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივები წარმოადგენენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს, რომლებიც აღირიცხებიან როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი და არ შედიან სესხებისა და მოთხოვნების, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების ან მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიაში.

„ჯგუფი“ ფინანსური აქტივების კლასიფიცირებას ახდენს სესხებისა და მოთხოვნების სახით, გარდა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებისა, რომლებიც კლასიფიცირდებიან დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების კატეგორიაში.

### ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება, როდესაც „ჯგუფი“ ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო გარიგების მხარე. ფინანსური აქტივების ყველა სტანდარტული შესყიდვა აღირიცხება ანგარიშსწორების დღეს.

### ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება

ფინანსური აქტივი ან ვალდებულება თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ წარმოადგენენ სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ინსტრუმენტებს ემატება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივის ან ვალდებულების შექმნას ან გამოშვებას.

საწყისი აღიარების შემდეგ, ფინანსური აქტივები, ისეთ წარმოებულ ინსტრუმენტებთან ერთად, რომლებიც არის აქტივები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების გამოუკლებლად, რომლებიც შესაძლოა გაწეულ იქნას მათი გაყიდვის ან განკარგვის დროს, გარდა:

- სესხებისა და მოთხოვნებისა, რომლების ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებისა, რომლებიც ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით;
- წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებსაც არ აქვთ კოტირებული საბაზრო ღირებულება აქტიურ ბაზარზე და რომელთა სამართლიანი ღირებულება ობიექტურად ვერ ფასდება და ფასდება თვითღირებულებით.

ყველა ფინანსური ვალდებულება, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულისა, ასევე ფინანსური ვალდებულება, რომელიც წარმოიშვება სამართლიანი ღირებულებით ფლობილი ფინანსური აქტივის გადაცემისას, არ განიხილება აღიარების შეწყვეტის კონტექსტში და ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით. ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულება, გარდა სვოპებისა, რომლებიც განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

### ამორტიზირებული ღირებულება

ფინანსური აქტივის ან ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც ფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს ძირითადი გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს აკუმულირებული ამორტიზაცია, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით და მინუს გაუფასურების ზარალი. პრემიები და ფასდაკლებები, თავდაპირველი ოპერაციის ხარჯების ჩათვლით, გათვალისწინებულია შესაბამისი ინსტრუმენტის საბალანსო ღირებულებაში და ამორტიზირდება ამ ინსტრუმენტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.



## ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, სებ-ის მიმართ არსებულ მოთხოვნებს, სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტების, საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ არსებული მოთხოვნების და სხვა მაღალ ლიკვიდური ფინანსური აქტივების გამოკლებით, რომელთა დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია და რომლებიც ექვემდებარებიან მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს და „ჯგუფი“ მათ იყენებს მოკლევადიანი ვალდებულებების მართვის პროცესში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი წარმოადგენს უპროცენტო დეპოზიტს, რომელიც გაანგარიშდება სებ-ის მიერ გამოცემული რეგულაციების შესაბამისად და რომელთა გამოტანაც აკრძალულია. სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში არ მოიაზრება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი მისი გამოტანის შეუძლებლის გამო.

## სამართლიანი ღირებულების შეფასების პრინციპები

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემისათვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული ჩვეულებრივი გარიგების ფარგლებში ძირითად ბაზარზე, ან მისი არარსებობის შემთხვევაში, ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე, რომელზეც „ჯგუფს“ აქვს წვდომა აღნიშნული თარიღისთვის. ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ასახავს მისი შეუსრულებლობის რისკს.

არსებობის შემთხვევაში, ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის „ჯგუფი“ იყენებს აქტიურ ბაზარზე კოტირებულ ფასს. ბაზარი ითვლება აქტიურად თუ აქტივებსა ან ვალდებულებებზე გარიგებები სრულდება საკმარისი სიხშირით და გარიგებათა მოცულობა იძლევა მყისიერად ფასის დადგენის საშუალებას.

აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასის არარსებობის შემთხვევაში, „ჯგუფი“ იყენებს შეფასების მეთოდს, რომელიც მიზნად ისახავს შესაბამისი დაკვირვებადი მონაცემების მაქსიმალურ გამოყენებას და არადაკვირვებადი მონაცემების გამოყენების მინიმუმადე დაყვანას. არჩეული შეფასების მეთოდი მოიცავს ყველა ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებდნენ ფასის დადგენისას.

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციის ფასი, ანუ გაცემული თუ მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულება. თუ „ჯგუფი“ განსაზღვრავს, რომ თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულება განსხვავდება ტრანზაქციის ფასისგან და არ დასტურდება არც აქტიურ ბაზარზე მსგავს აქტივსა და ვალდებულებაზე კოტირებული ფასით და არც შეფასების მეთოდით, რომელიც ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს, ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას ასახულ სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის არსებული სხვაობით. ამის შემდეგ სხვაობა შესაბამისად აისახება მოგება ან ზარალში ინსტრუმენტის ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ მომენტისა, როცა შეფასება მთლიანად დადასტურდება დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების, ან ტრანზაქცია დაიხურება.

## შემოსულობები და ზარალი სამართლიანი ღირებულების შემდგომი შეფასებისას

ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღირიცხება შემდგომი შეფასებისას:

- მოგებაში ან ზარალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულად კლასიფიცირებული ფინანსური აქტივიდან ან ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში;
- გასაყიდად ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი, გარდა გაუფასურების ზარალისა და სავალუტო კურსის ცვლილებით მიღებული შემოსულობებისა და ზარალისა, აქტივის აღიარების შეწყვეტამდე აღიარდება საკუთარ კაპიტალში, როგორც სხვა სრული

შემოსავალი. ხოლო აღიარების შეწყვეტისას, მანამდე საკუთარ კაპიტალში აღიარებული აკუმულირებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული პროცენტი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც წყდება აღნიშნული ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების აღიარება, ან ისინი გაუფასურებულია.

### ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

„ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როცა ფინანსური აქტივიდან შემოსულ ფულად ნაკადებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო უფლებების ვადა ამოიწურება ან როცა „ჯგუფი“ გაასხვისებს აღნიშნული ფინანსური აქტივის საკუთრებიდან გამომდინარე არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს ან როცა „ჯგუფი“ არც გადასცემს და არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკებსა და სარგებელს და არ იტოვებს გადაცემული აქტივის კონტროლის უფლებას. გადაცემულ ფინანსური აქტივში (რომელიც ექვემდებარება აღიარების შეწყვეტას) ნებისმიერი ნარჩენი წილი, რომელიც იქმნება ან რჩება „ჯგუფში“, კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ცალკე აქტივად ან ვალდებულებად. „ჯგუფი“ წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები სრულდება, უქმდება ან იწურება.

„ჯგუფი“ ახორციელებს მის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული აქტივების გადაცემის ოპერაციებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემული აქტივების ან მათი ნაწილის ყველანაირ რისკს და სარგებელს. ყველა ან არსებითად ყველა რისკის და სარგებლის შენარჩუნების შემთხვევაში გადაცემული აქტივების აღიარების შეწყვეტა არ ხდება.

ოპერაციებში, სადაც „ჯგუფი“ არც ინარჩუნებს და არც გადასცემს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, ის წყვეტს აქტივის აღიარებას იმ შემთხვევაში, თუ დაიკარგება აქტივის კონტროლის უფლება.

ისეთი გადაცემის შემთხვევაში, როდესაც შენარჩუნებულია აქტივის კონტროლის უფლება, „ჯგუფი“ აგრძელებს აქტივის აღიარებას მისი მუდმივი ჩართულობის განმავლობაში რომელიც განსაზღვრულია გადაცემული აქტივების ღირებულებაში ცვლილებების „ჯგუფზე“ გავლენის მოხდენით.

„ჯგუფი“ ახორციელებს იმ აქტივების ჩამოწერას, რომელთა გადახდა უიმედოდ არის მიჩნეული.

### ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ჯგუფს“ მოცემული მომენტისთვის აქვს სამართლებრივი უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს აღიარებული თანხები და განზრახული აქვს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად. „ჯგუფს“ მოცემული მომენტისთვის აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთგაქვითვა, თუ ამგვარი უფლება არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და იმოქმედებს როგორც საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის პროცესში, ასევე „ჯგუფის“ და ყველა კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაშიც.

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს „ბანკი“ აფასებს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივები ან აქტივების ჯგუფი გაუფასურდა. ფინანსური აქტივი ან ამგვარი აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“) და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მომავალში მოსალოდნელ შეფასებულ ფულად ნაკადებზე, რომელთა საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის

ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მსესხებელი ან მსესხებელთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

„ჯგუფი“ თავდაპირველად ინდივიდუალურად აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც არსებითია ინდივიდუალურად ან ფასდება კოლექტიურად თუ არ წარმოადგენს ინდივიდუალურად არსებითს. თუ „ბანკი“ განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, აქტივის ჩართვა ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელსაც ახასიათებს ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფის შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურებაც ინდივიდუალურად ფასდება და რომლებზეც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ მონაწილეობს გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში.

თუ არსებობს გაუფასურების ზარალის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (გარდა მომავალში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები მათ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი, ხოლო უზრუნველყოფა მთლიანად რეალიზებულია ან ბანკისთვის არის გადაცემული. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალში ხდება ჩამოწერის აღდგენა, აღნიშნული კრედიტდება სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე. მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთს გაუფასურების ზარალის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია ბანკის შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა შესაბამისი ფაქტორები.

გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება ამჟამინდელ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა გათვალისწინებულ იქნას ამჟამინდელი პირობები, რომლებიც არ მოქმედებდა ისტორიული ზარალის წლებში, და არ იქნას გათვალისწინებული ისტორიული ზარალის პერიოდის ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და უკავშირდება წლიდან წლამდე გარკვეული თარიღისათვის მომხდარ ცვლილებებს (როგორცაა უმუშევრობის განაკვეთი, უძრავი ქონების ფასი, საქონლის ფასი, გადახდისუნარიანობა და სხვა ფაქტორები, რომლებიც ჯგუფში ზარალის განმსაზღვრელია). სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგია და დაშვებები, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, გადაიხედება რეგულარულად შესაძლო ზარალსა და ფაქტორებზე ზარალს შორის სხვაობის შესამცირებლად.

## დასაკუთრებული უზრუნველყოფა

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ბანკმა დაისაკუთრა ვადაგადაცილებული სესხების დასაფარად. ეს აქტივები შეძენისას თავდაპირველად აისახება შესაბამისი სესხის წმინდა სამართლიანი ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები, სხვა ფინანსურ აქტივებში ან სასაქონლო-მატერიალურ მარაგები. ეს კლასიფიკაცია დამოკიდებულია უზრუნველყოფის მახასიათებლებსა და ბანკის გადაწყვეტილებაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება აქტივების ამ კატეგორიების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

## ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა ჯგუფს აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განვლილი მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დაფარვას დასჭირდება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ გავლენა არსებითია, ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე არსებული განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროით ღირებულების და, შესაბამის შემთხვევაში, ვალდებულების დამახასიათებელი რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს.

## სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება გამოიანგარიშება FIFO მეთოდის საფუძველზე და მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლის გაწევაც საჭიროა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესაძენად, საწარმოებლად, გადასამუშავებლად და დანიშნულების ადგილამდე მისატანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის მოსაზრადებლად გაწეული ხარჯები.

## საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები

„ჯგუფი“ კისრულობს სხვადასხვა საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებს, მათ შორისაა აკრედიტივები და ფინანსური გარანტიები. ფინანსური გარანტიები წარმოადგენს გადახდების განხორციელების შეუქცევად გარანტიას ისეთ ვითარებაში, როდესაც კლიენტს არ შეუძლია მესამე პირების წინაშე მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ის გულისხმობს სესხების ანალოგიურ საკრედიტო რისკს. ფინანსური გარანტიების და ვალდებულებები სესხის უზრუნველსაყოფად თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, რაც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიოს ოდენობით. ეს თანხა ამორტიზირდება წრფივი მეთოდით ვალდებულების ვადის შესაბამისად, გარდა სესხების მიღების ვალდებულებისა, თუ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ „ბანკი“ გააფორმებს კონკრეტულ სასესხო შეთანხმებას და არ მოელის წარმოშობილი სესხის გაყიდვას მოკლე ვადაში. ამგვარი საკრედიტო ხასიათის ვალდებულების საკომისიო გადავადდება და ჩაირთვება სესხის საბალანსო ღირებულებაში საწყისი აღიარების დროს. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისას, ვალდებულებები ფასდება უმაღლესით (ა) საწყისი აღიარებისას თანხის ნარჩენ არამორტიზირებულ ნაშთსა და (ბ) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად გასაწევი ხარჯის საუკეთესო შეფასებას.

## მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში აღიარებული ერთეულების ან სხვა სრული შემოსავლის კატეგორიას.

## მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის, აგრეთვე წარმოადგენს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. დაბეგვრის ობიექტი ასევე მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებას და დაშვებულს ზემოთ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ჩათვლა ვრცელდება გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე 2008-2017 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება ნაწილდება 2019 ან შემდეგ წლებში.

გადახდილი დივიდენდების მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად იმისა თუ როდის გადაიხდება ან რომელ პერიოდს ეკუთვნის აღნიშნული დივიდენდი.

## გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი განისაზღვრება ფინანსური ანგარიშგების მიზნით აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობით. ქვემოთ წარმოდგენილი დროებითი სხვაობები არ ეხება:

- გუდვილს, თუ ის არ გამოიქვითება საგადასახადო მიზნებისთვის,
- აქტივების ან ვალდებულებების საწყის აღიარებას, რომლებიც არ მოქმედებენ არც სააღრიცხვო და არც დასაბეგრი მოგებაზე
- დროებით სხვაობებს, რომლებიც უკავშირდებიან ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ფილიალებსა და ასოცირებულ საწარმოებში, სადაც მშობელ კომპანიას შესწევს უნარი გააკონტროლოს დროებითი სხვაობების ჩამოწერის ვადები და როდესაც სავარაუდოა, რომ დროებითი სხვაობა არ ჩამოიწერება უახლოეს მომავალში.

გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება გამოუყენებელი საგადასახადო ზარალებთან, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებსა და დაქვითვად დროებით სხვაობებთან მიმართებაში იმის გათვალისწინებით, რომ სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება მომავალი დასაბეგრი მოგება, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება. მომავალი დასაბეგრი მოგება განისაზღვრება შესაბამისი დასაბეგრი დროებითი სხვაობების აღდგენის საფუძველზე. თუ დასაბეგრი დროებითი სხვაობების თანხა ეწინააღმდეგება გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად აღიარებას, არსებული დროებითი სხვაობების აღდგენაზე მორგებული მომავალი დასაბეგრი მოგება განისაზღვრება ჯგუფში ინდივიდუალური შვილობილი კომპანიების ბიზნეს გეგმების საფუძველზე. გადავადებული

საგადასახადო აქტივები გადაიხედება ყველა საანგარიშგებო თარიღში და მცირდება იმის გათვალისწინებით, რომ აღარ იქნება შესაძლებელი შესაბამისი საგადასახადო სარგებლის რეალიზაცია; ამგვარი შემცირებები აღდგება მომავალი საგადასახადო მოგების შესაძლებლობის გაუმჯობესების შემთხვევაში.

არაღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივები განმეორებით ფასდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში და აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება სავარაუდოდ ხელმისაწვდომი იქნება, რომელთან მიმართებაშიც შესაძლებელი იქნება მათი გამოყენება.

მიმდინარე და გადავადებული გადასახადების თანხის განსაზღვრისას, ჯგუფი ითვალისწინებს გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების გავლენას და იმას, არის თუ არა გადასახდელი დამატებით გადასახადები, ჯარიმები და პროცენტი დაგვიანებულ გადახდებზე. „ჯგუფს“ სჯერა, რომ მისი დარიცხვები საგადასახადო ვალდებულებებზე ადეკვატურია ყველა ღია საგადასახადო წლისთვის, მის მიერ რამდენიმე ფაქტორის შეფასების, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტირების და განვლილი გამოცდილების საფუძველზე. ეს შეფასება ეყრდნობა დაშვებასა და ვარაუდებს და მან შეიძლება მოიცვას მომავალი მოვლენების შესახებ მსჯელობების მთელი სპექტრი. შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს ახალი ინფორმაცია, რომელიც „ჯგუფს“ აიძულებს შეცვალოს მისი მსჯელობა არსებული საგადასახადო ვალდებულებების ადეკვატურობასთან დაკავშირებით; საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ამგვარი ცვლილებები გავლენას იქონიებს საგადასახადო ხარჯზე ამგვარი განსაზღვრების გაკეთების პერიოდში.

გადავადებული გადასახადის თანხა ეფუძნება აქტივებისა და ვალდებულებების რეალიზაციის ან დაფარვის მოსალოდნელ ფორმას 2019 წლის 1 იანვრამდე, საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული ან არსებითად ამოქმედებული საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალი დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება 2019 წლის 1 იანვრამდე, რომელთან მიმართებაშიც გამოყენებული იქნება დროებითი სხვაობები, გამოყენებული საგადასახადო ზარალები და კრედიტები. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხედება ყოველ საანგარიშგებო პერიოდში და მცირდება იმ შემთხვევაში, თუ აღარაა მოსალოდნელი საგადასახადო სარგებლის გამოყენება.

ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს 2019 წლის 1 იანვრის შემდეგ აღარ ექნებათ სხვაობები აქტივების საგადასახადო ბაზებს და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის და, შესაბამისად, არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებულით. უმნიშვნელო სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ღირებულება აღიარდება ხარჯად მათი გაწვევისას. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი დეტალების ან კომპონენტების გამოცვლის ხარჯი კაპიტალიზდება, ხოლო გამოცვლილი დეტალი ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს აქვს თუ არა ადგილი ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანს. ამგვარის არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა აფასებს აღდგენად თანხას, რომელიც განისაზღვრება აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენებით ღირებულებას შორის უმაღლესით. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენად თანხამდე და გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აქტივზე წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი იცვლება საპირისპირო ნიშნით, თუ ადგილი აქვს აქტივის გამოყენებით ღირებულებას ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის გამოყენებული შეფასების ცვლილებას.

შემოსულობა და ზარალი გასვლის ოპერაციებიდან, რომლებიც განისაზღვრება მიღებული თანხის საბალანსო ღირებულებასთან შედარების შედეგად, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.



მიწის ნაკვეთები და დაუმთავრებელი მშენებლობები არ იცვითება. ცვეთა ძირითადი საშუალებების სხვა ერთეულებზე გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით იმისათვის, რომ განაწილდეს მათი თვითღირებულება ნარჩენ ღირებულებამდე მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

შენობა-ნაგებობები	25 წელი
საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	5-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
ავეჯი, ინვენტარი და სხვა ძირითადი საშუალებები	5 წელი
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	5-10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც „ჯგუფი“ ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან შეფასებული გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და იმყოფება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოსთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და შესაბამისად კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

### გუდვილი

გუდვილი არის ნამეტი თანხა შესყიდვის ხარჯსა და შესყიდვის თარიღისთვის შესყიდული შვილობილი ან მეკავშირე საწარმოს იდენტიფიცირებად აქტივებში, ვალდებულებებსა და პირობით ვალდებულებებში შემსყიდველი საწარმოს წილის სამართლიან ღირებულებას შორის. შვილობილი კომპანიების შეძენისას წარმოქმნილი გუდვილი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ცალკე. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებას მინუს დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

„ჯგუფი“ გუდვილს გაუფასურებაზე ამოწმებს სულ მცირე წელიწადში ერთხელ და იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გუდვილის გაუფასურების ნიშნები. გუდვილი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე ან ამგვარი ერთეულების ჯგუფებზე, რომლებიც სავარაუდოდ სარგებელს მიიღებენ ბიზნეს კომბინაციების სინერგიიდან. ასეთი ერთეულები ან ერთეულების ჯგუფები წარმოადგენს უმცირეს დონეს, რომელზეც ბანკი ახდენს გუდვილის მონიტორინგს და ისინი არ უნდა აღემატებოდეს საოპერაციო სეგმენტის სიდიდეს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შიგნით ისეთი ოპერაციის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი, რომელზეც გუდვილი იყო განაწილებული, შეიცავს გაყიდულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილის საბალანსო ღირებულებას და ფასდება გაყიდული ოპერაციისა და ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დარჩენილი ნაწილის ხვედრითი წილების საფუძველზე.

გაუფასურება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებით, რომელსაც გუდვილი უკავშირდება. თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, აღიარდება გაუფასურების ზარალი. გუდვილთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის გაუმება მომავალ პერიოდებში შეუძლებელია.

### არამატერიალური აქტივები, გუდვილის გარდა

შემენილი არამატერიალური აქტივები წარდგენილია თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის თანხა. შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზება ხდება იმ ხარჯების საფუძველზე, რომლებიც გაწეულია ამ პროგრამული უზრუნველყოფის შესაძენად და სამუშაო პირობებში მოსაყვანად. ამორტიზაციის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა მერყეობს 3-დან 10 წლამდე.

### სააქციო კაპიტალი

#### სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი. დამატებითი ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვეულებრივი აქციების გამოშვებასთან და აქციების ოფციონებთან, აღიარდება, როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო ეფექტის გამოკლებით.

**დივიდენდები**

„ჯგუფის“ მიერ დივიდენდების გამოცხადებისა და გადახდის უნარი ექვემდებარება საქართველოში მოქმედ წესებსა და რეგულაციებს. ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება როგორც საკუთარი კაპიტალიდან გაცემული თანხები იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა მისი გაცემა.

**შემოსავლისა და ხარჯის აღიარება**

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხის გაცემის საკომისიო, სესხის მომსახურების და სხვა საკომისიოები, რომლებიც სესხის მთლიანი მომგებიანობის შემადგენელ ნაწილად მიჩნევა, დაკავშირებულ ტრანზაქციის დანახარჯებთან ერთად გადავადდება და ამორტიზირდება საპროცენტო შემოსავლად ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის ვადის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი მომსახურების გაწევის მომენტში.

საოპერაციო იჯარის ფარგლებში განხორციელებული გადახდები აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადის განმავლობაში. მიღებული საიჯარო შეღავათების აღიარდება მთლიანი იჯარის ხარჯის შემადგენელი ნაწილის სახით, იჯარის ვადის განმავლობაში.

**ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული**

ქვემოთ მოცემული სტანდარტები, *სტანდარტების ცვლილებები*, და ინტერპრეტაციები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში შესული არ არის და არ გამოყენებულა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. „ჯგუფი“ გეგმავს ხსენებული ცვლილებების დანერგვას მათი ძალაში შესვლის შემდეგ.

მოსალოდნელია, რომ შემდეგ სტანდარტებს არსებითი გავლენა ექნება „ჯგუფის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე, მათი თავდაპირველი გამოყენების პერიოდში.

**(i) ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები**

2014 წლის ივლისის თვეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს 9-ის (ფინანსური ინსტრუმენტები) საბოლოო ვერსია. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს და მას შემდეგ დაწყებული ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, სტანდარტის ვადაზე ადრე მიღების დაშვებით. ის ჩანაცვლებს ბასს 39-ს (ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება).

2017 წლის ოქტომბერში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა „უარყოფითი კომპენსაციის მქონე წინასწარი გადახდების ელემენტები“ (ფასს 9-ის ცვლილება). ცვლილება ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს და მის შემდეგ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდისთვის, ადრეული გამოყენების შესაძლებლობით.

„ჯგუფი“ თავდაპირველად გამოიყენებს ფასს 9-ის 2014 წლის ივლისში გამოცემულ ვერსიას 2018 წლის 1 იანვარს და ვადაზე ადრე მიიღებს ფასს 9-ის ცვლილებას იგივე თარიღში. მოცემული თარიღისთვის განხორციელებული შეფასებების საფუძველზე, ფასს 9-ის მიღების მთლიანი სავარაუდო ცვლილება (გადასახადის გამოკლებით) „ჯგუფის“ საკუთარი კაპიტალის საწყის ბალანსზე 2018 წლის 1 იანვარს დაახლოებით 1,441 ათას ლარს შეადგენს, რაც მოიცავს:

- გაუფასურებასთან დაკავშირებული დაახლოებით 1,578 ათასი ლარის კლება;
- გადავადებულ საგადასახადო გავლენებთან დაკავშირებული დაახლოებით 137 ათასი ლარის მატება.
- ზემოთ მოცემული შეფასება წინასწარია, რადგან ყველა გარდამავალი სამუშაო არ არის დასრულებული. ფასს 9-ის 2018 წლის 1 იანვარს მიღების ფაქტური გავლენა შესაძლოა შეიცვალოს, რადგან:

- ფასს 9 მოითხოვს „ჯგუფის“ მიერ მისი საადრიცხო პროცესებისა და შიდა კონტროლის მექანიზმების გადახედვას და ეს ცვლილებები ჯერ არ არის დასრულებული;
- „ჯგუფი“ აუმჯობესებს და ასრულებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მოდელს; და
- ახალი საადრიცხო პოლიტიკები, დაშვებები, მსჯელობები და პროგნოზირების ტექნიკები შეიძლება შეიცვალოს, სანამ „ჯგუფი“ არ დაასრულებს სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემცველ მის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას.

#### **i. კლასიფიკაცია - ფინანსური აქტივები**

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირებისა და შეფასების ახალ მიდგომას ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ასახავენ იმ ბიზნეს მოდელს, რომელის ფარგლებში ხდება ფინანსური აქტივების მართვა და მათი ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებს.

ფასს 9 მოიცავს კლასიფიცირების სამ პრინციპულ კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის:

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ის აუქმებს არსებულ ბასს 39-ის დაფარვამდე ფლობილის, სესხებისა და მოთხოვნების და გასაყიდად ხელმისაწვდომის კატეგორიებს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ კატეგორიას და არ აღიარდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას

ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია და ის არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

არა სავაჭროდ ხელმისაწვდომი, კაპიტალის ფასიან ქაღალდების თავდაპირველი აღიარებისას, „ჯგუფს“ შეუქცევადი არჩევანის უფლება აქვს, შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში. ეს არჩევანი კეთდება თითოეული კონკრეტული ინვესტიციისათვის.

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული როგორც ‘ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული’ ან ‘სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით’, როგორც ეს ზემოთ არის განსაზღვრული, ფასდება ‘სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით’. ამასთან, თავდაპირველი აღიარებისას, „ჯგუფს“ აქვს შეუქცევადი არჩევანის უფლება ისეთი ფინანსური აქტივი, რომელიც წარმოადგენს ამორტიზირებული ღირებულებით ან, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ფინანსურ აქტივს, განისაზღვროს აქტივად სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს საანგარიშგებო შეუსაბამობას, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ადგილი.

ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება ერთერთ ზემოთ წარმოდგენილ კატეგორიაში. ფინანსური კლასიფიკაციის შესახებ გარდამავალ მოთხოვნებთან დაკავშირებული ინფორმაციის მისაღებად იხილეთ პარაგრაფი (vii).

ფასს 9-ის ფარგლებში, ისეთ ხელშეკრულებებში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები, რომლის

საგანსაც ფინანსური აქტივი წარმოადგენს, არ განცალკევდება. ამის ნაცვლად, კლასიფიკაციისთვის მთლიანობაში ფასდება ჰიბრიდული ფინანსური ინსტრუმენტი.

### ბიზნესმოდელის შეფასება

„ჯგუფი“ შეაფასებს თუ რა ამოცანებს ისახავს თითოეული ბიზნეს მოდელი რომლის ფარგლებშიც ხდება ფინანსური აქტივების პორტფელის მართვა, რადგან ეს ასახავს ბიზნესის მართვის და ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმებს. გათვალისწინებული ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- პორტფელთან მიმართებაში არსებული ამოცანები და პოლიტიკები და ამგვარი პოლიტიკების მოქმედება პრაქტიკაში, მათ შორის არის თუ არა ხელმძღვანელობის სტრატეგია მიმართული სახელშეკრულებო საპროცენტო შემოსავლის გამომუშავებაზე, კონკრეტული საპროცენტო განაკვეთის პროფილის შენარჩუნებაზე, ფინანსური აქტივების ვადის ვალდებულებების ვადასთან თანხვედრაზე, რაც მოიცავს ამგვარი აქტივების დაფინანსებას ან ფულადი ნაკადების რეალიზაციას აქტივების გაყიდვის გზით;
- როგორ ხდება პორტფელის შედეგების შეფასება და ამ შეფასებების კომუნიკაცია „ჯგუფის“ ხელმძღვანელობისთვის;
- რისკები, რომლებიც მოქმედებენ ბიზნეს-მოდელის (და ამგვარ ბიზნეს მოდელში არსებული ფინანსური აქტივების) მაჩვენებლებზე და რამდენად იმართება ამგვარი რისკები;
- როგორ ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება - მაგ. ეფუძნება თუ არა ანაზღაურება მართვის ქვეშ არსებული აქტივების სამართლიან ღირებულებას თუ მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს; და
- განვილილ პერიოდებში გაყიდვების სიხშირე, მოცულობა და ვადები, ამგვარი გაყიდვების მიზეზები და მომავალი სავაჭრო საქმიანობის მოლოდინები. ინფორმაცია სავაჭრო საქმიანობის შესახებ ცალკე არ განიხილება. ის წარმოადგენს „ჯგუფის“ შეფასების ნაწილს, თუ რამდენად არის მიღწეული ფინანსური აქტივების მართვასთან დაკავშირებით „ჯგუფის“ მიერ განსაზღვრული მიზნები და რამდენად არის რეალიზებული ფულადი ნაკადები.

სავაჭროდ ხელმისაწვდომი და მართვის ქვეშ არსებული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, შეფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, რადგან მათი ფლობის მიზეზი არ არის არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, და არც როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ფინანსური აქტივების გაყიდვა.

### შეფასება იმისა, თუ რამდენად წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს

ამ შეფასების მიზნით, ‘ძირითადი თანხა’ განისაზღვრება როგორც ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას. ‘პროცენტი’ განისაზღვრება როგორც გასამრჯელო რაც ფულის დროითი ღირებულებას, კონკრეტული დროის განმავლობაში გადაუხდელ ძირითადი თანხის საკრედიტო რისკისა და სხვა ძირითად საკრედიტო რისკებს და ხარჯებს (მაგ. ლიკვიდურობის რისკი და ადმინისტრაციული ხარჯები), ასევე მოგების მარჟას უკავშირდება.

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს, „ჯგუფი“ გაითვალისწინებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობებს. ეს ასევე გულისხმობს შეფასებას იმისა, მოიცავს თუ არა ფინანსური აქტივი სახელშეკრულებო პირობებს, რომელმაც შესაძლოა ისეთი ფორმით შეცვალოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვადები ან თანხა, რომ ის აღარ დააკმაყოფილებს მოცემულ პირობას. შეფასების განხორციელებისას, „ჯგუფი“ ითვალისწინებს შემდეგს:

- პირობითი ვითარებები, რომლებიც შეცვლიან ფულადი ნაკადების თანხას და ვადებს;
- ლევერიჯის ფუნქციები;
- წინასწარ დაფარვისა და ვადის გახანგრძლივების პირობები;
- პირობები, რომლებიც ზღუდავენ „ჯგუფის“ უფლებას მოითხოვოს ფულადი ნაკადები კონკრეტული აქტივებიდან - მაგ. აქტივების განთავსების რეგრესი;
- ვითარებები, რომლებიც ცვლიან ფულის დროითი ღირებულების გადახდებს - მაგ. საპროცენტო განაკვეთების პერიოდული ცვლილება.

„ჯგუფის“ სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს მათი წინასწარ დაფარვის შეთანხმებას.

აქტივის წინასწარ დაფარვის ელემენტი, შეესაბამება ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის კრიტერიუმებს, თუ წინასწარ დაფარვის თანხა არსებითად წარმოადგენს დაუფარავი ძირითადი თანხისა და ამ ძირითადი თანხასთან დაკავშირებულ პროცენტს, რომლებიც შესაძლოა ასევე მოიცავდნენ ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გონივრულ გადახდებს.

ამასთან, მიიჩნევა, რომ წინასწარ დაფარვის შეთანხმება აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, თუ ფინანსური აქტივის შეძენა ან წარმოშობა მოხდა პრემიით ან დისკონტირებით; წინასწარ დაფარვის თანხა არსებითად წარმოადგენს სახელშეკრულებო ნომინალურ ღირებულებას დამატებული დარიცხულ (მაგრამ გადაუხდელ) სახელშეკრულებო პროცენტს (რაც შესაძლოა ასევე მოიცავდეს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის), ხოლო წინასწარ დაფარვის ელემენტის სამართლიანი ღირებულება უმნიშვნელოა თავდაპირველი აღიარებისას.

### გავლენის შეფასება

სტანდარტი შეეხება 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებულ ფინანსური აქტივების კლასიფიცირებასა და შეფასებას შემდეგი სახით:

- სესხები და ბანკებისთვის და კლიენტებისთვის გადახდილი ავანსები, რომლებიც კლასიფიცირებულია სესხებისა და მოთხოვნების კატეგორიაში და ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ბასს 39-ის შესაბამისად, ზოგადად ასევე შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ფასს 9-ის ფარგლებში.
- ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ამორტიზირებული ღირებულებით ფასდება ბასს 39-ის შესაბამისად, ზოგადად ასევე შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ფასს 9-ის ფარგლებშიც.

### ii. გაუფასურება - ფინანსური აქტივები, სესხის გაცემის ვალდებულებები და ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებები

ფასს 9 ჩაანაცვლებს ბასს 39-ში არსებულ ‘განცდილი ზარალის’ მოდელს, მომავალზე ორიენტირებული ‘მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის’ მოდელით. ეს მოითხოვს მნიშვნელოვან მსჯელობებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორების ცვლილება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე, რომელიც განისაზღვრება ალბათობაზე დაფუძნებულ საფუძველზე.

ახალი გაუფასურების მოდელი გამოიყენება შემდეგ ფინანსურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით:

- ფინანსური აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ სავალო ინსტრუმენტებს;
- საიჯარო მოთხოვნებს; და
- სესხის გაცემის ვალდებულებები და გაცემულ ფინანსურ საგარანტიო ხელშეკრულებები (ადრე გაუფასურების შეფასება ხდებოდა ბასს 37-ის (ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები) საფუძველზე).

ფასს 9 მოითხოვს ზარალის რეზერვების აღიარებას 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ეკვივალენტური თანხით. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალს, რომელიც მომდინარებს დეფოლტის ყველა შესაძლო შემთხვევიდან ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის პერიოდში, ხოლო 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალს, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო თარიღის შემდგომ 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი დეფოლტის შემთხვევის შედეგს.

„ჯგუფი“ აღიარებს გაუფასურების რეზერვებს, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ეკვივალენტური თანხით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა, რომლისთვისაც აღიარებული თანხა იქნება 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა:

- ფინანსური ინსტრუმენტები, რომლისთვისაც საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ფასს 9-ის გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები კომპლექსურია და საჭიროებს ხელმძღვანელობის მსჯელობებს, ვარაუდებს და დაშვებებს, კერძოდ ქვემოთ განხილულ სფეროებში:

- შეფასება იმის, არის თუ არა ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ; და
- გამოყენებულია თუ არა მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში.

### მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს საკრედიტო ზარალის აღბათობით შეწონილ შეფასებას და ის ფასდება შემდეგი სახით:

- *ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ გაუფასურებულ კრედიტს საანგარიშგებო თარიღისთვის:* აუნაზღაურებელი ფულადი სახსრების მიმდინარე ღირებულება - ე.ი. სხვაობა ხელშეკრულების საფუძველზე „ჯგუფის“ მიერ მისაღებ ფულად სახსრებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც მოელის „ჯგუფი“;
- *ფინანსური აქტივები, რომლებიც წარმოადგენენ გაუფასურებულ კრედიტს ანგარიშგების თარიღისთვის:* სხვაობა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასა და მთლიან საბალანსო ღირებულებას შორის;
- *გამოუყენებელი სესხის გაცემის ვალდებულებები:* „ჯგუფისთვის“ მიერ მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა (ვალდებულების მოთხოვნის შემთხვევაში) და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის მიმდინარე ღირებულება, რომლის მიღებასაც მოელის „ჯგუფი“; და
- *ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებები:* გარანტიის მფლობელის ანაზღაურებისთვის განსახორციელებელი მოსალოდნელი გადახდების მიმდინარე ღირებულება, ნებისმიერი თანხის გამოკლებით, რომლის აღდგენასაც მოელის „ჯგუფი“.

### დეფოლტის განმარტება

ფასს 9-ის ფარგლებში, „ჯგუფი“ ფინანსურ აქტივს დეფოლტირებულად განიხილავს, ერთერთი შემდეგი ვითარების წარმოშობის შემთხვევაში:

- სესხები ვადაგადაცილებულია 90-ზე მეტი პერიოდის განმავლობაში;
- გაკოტრების პროცედურები და/ან სამართლებრივი პროცედურები, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედონ კომპანიის მიერ მომსახურების გაწევის ვალდებულებების შესრულების უნარზე;
- მსესხებლის გარდაცვალება, მსესხებლის კომპანიის ლიკვიდაცია (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- ნებისმიერი სხვა მოვლენა, რომელმაც შესაძლოა იმოქმედოს მსესხებლის მიერ სესხის დაფარვის უნარზე.

მონაცემები რომლებიც განსაზღვრავენ არის თუ არა ფინანსური ინსტრუმენტი დეფოლტში, ასევე მათი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს გარემოებათა ცვლილების შესაბამისად.

### საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

ფასს 9-ის ფარგლებში, „ჯგუფი“ განსაზღვრავს მოხდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის (ე.ი. დეფოლტის რისკის) მნიშვნელოვანი ზრდა. ამ მიზნისთვის, „ჯგუფი“ იყენებს გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია არაჯეროვანი ხარჯების ან მცდელობების გარეშე. ასეთი მონაცემები მოიცავს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციასა და ანალიზის, რომელიც ეფუძნება „ჯგუფის“ ისტორიულ გამოცდილებას, კრედიტის საექსპერტო შეფასებას და მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას.

„ჯგუფი“ აღიარებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი მატების წარმოშობას, თუ:

- დავალიანება ვადაგადაცილებულია 30-ზე მეტი დღით კოლექტიურად შეფასებული სესხებისთვის და 15-ზე მეტი დღით ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კლიენტებისთვის;
- მისი ფინანსური მაჩვენებელი გაუარესებულია და ფაქტიური დავალიანება რესტრუქტურირებულია;
- არსებობს სხვა სისუსტეები, რომლებსაც ნეგატიური გავლენა აქვთ მსესხებლის გადახდისუნარიანობაზე (მაგ. კლიენტის სამეთვალყურეო კატეგორიაში გადაყვანა);



- „ჯგუფი“ განახორციელებს მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების იდენტიფიცირებისათვის გამოყენებული კრიტერიუმების ეფექტურობის მონიტორინგს, მათი რეგულარული გადახედვის გზით, რათა დადასტურებული იქნას რომ:
- კრიტერიუმებს შეუძლიათ რისკების მნიშვნელოვანი ზრდის იდენტიფიცირება, მანამ სანამ მოხდება ფაქტიური დავალიანების დეფოლტი
- კრიტერიუმები არ უკავშირდება დროის კონკრეტულ მომენტს როდესაც აქტივთან დაკავშირებული დავალიანება 30 დღეს გადააჭარბებს
- საკრედიტო რისკის იდენტიფიცირებასა და დეფოლტს შორის გასული საშუალო პერიოდი ადექვატურია
- ფაქტიური დავალიანებების გადატანა 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კატეგორიიდან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კატეგორიაში არ ხდება მყისიერად; და არ არსებობს გაუფასურების რეზერვის შეუფერებელი მერყეობა, რაც რეზერვის 12 თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალსა და არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის კატეგორიაში ხშირი მოძრაობით არის გამოწვეული

### დეფოლტის ალბათობის მაჩვენებლების ვადიანობის განსაზღვრა

„ჯგუფი“ შეაგროვებს და გაანალიზებს საკრედიტო ვალდებულებების შესრულებასა და დეფოლტთან დაკავშირებულ ინფორმაციას პროდუქტების ტიპებისა და მსესხებლების ჭრილში. ზოგიერთი პოტენციისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს გარე საკრედიტო სააგენტოებისაგან შესყიდული ინფორმაცია.

„ჯგუფი“ გამოიყენებს სტატისტიკურ მოდელებს მოპოვებული მონაცემების გაანალიზებისა და არსებობის მანძილზე მოსალოდნელი დეფოლტის ალბათობების შემუშავების მიზნით; ასევე იმის დასადგენად, თუ როგორ შეიცვლება ეს ალბათობები დროის გასვლასთან ერთად.

ეს ანალიზი მოახდენს დეფოლტების დონესა და ძირითადი მაკროეკონომიკური ფაქტორებს შორის მიმართებათა იდენტიფიცირებას და შემდგომ კალიბრაციას, ასევე განიხილავს სხვა ფაქტორების (მაგ. კრედიტორის მიმართ გადახდების შემსუბუქების გამოცდილებას) გავლენას დეფოლტის რისკსზე. უმეტესწილად ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორი იქნება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა.

„ჯგუფის“ მიერ მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის ამ შეფასებაში ჩართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

### მოდულირებული ფინანსური აქტივები

სესხის საკონტრაქტო პირობები შესაძლებელია შეიცვალოს რიგი მიზეზების გამო, როგორცაა საბაზრო პირობების ცვლა, კლიენტთან ურთიერთობები და სხვა ფაქტორები რომლებიც არ არიან დაკავშირებული კლიენტის პოტენციურ საკრედიტო გაუარესებასთან. არსებული სესხის აღიარება, რომლის პირობებიც შეიცვალა შესაძლებელია შეწყდეს და ახალ სესხად აღიარებულ იქნას მოდიფიცირებული სესხი, სამართლიანი ღირებულებით.

„ჯგუფი“ ახდენს სესხის პირობების ცვლილებას თავიანთი კლიენტებისათვის (რომელიც ქვემოთ მოიხსენიება, როგორც „შემამსუბუქებელი ქმედებები“), რათა გაზარდოს სესხის ამოღების შესაძლებლობები და მოახდინოს დეფოლტის რისკის მინიმიზირება. „ჯგუფის“ შემამსუბუქებელი ქმედებები ხორციელდება შერჩევით საფუძველზე იმისდა მიხედვით არის თუ არა მსესხებელი დეფოლტში ან არსებობს თუ არა დეფოლტის მაღალი რისკი, ან მონაცემები რომ მსესხებელმა გააკეთა ყველა გონივრული ქმედება არსებული საკონტრაქტო ვალდებულების მიხედვით ვალის გასტუმრებისთვის და იგი შეძლებს განახლებული სასესხო პირობების დაკმაყოფილებას.

შევვლილი პირობები როგორც წესი გულისხმობს დაფარვის ვადის გახანგრძლივებას, საპროცენტო გადახდების განრიგისა და სესხთან დაკავშირებული პირობების ცვლილებას. შემსუბუქების პოლიტიკა ხორციელდება როგორც კორპორაციული ასევე საცალო კლიენტებისათვის. „ჯგუფის“ საკრედიტო კომიტეტი რეგულარულად განიხილავს მოხსენებებს შემსუბუქების პოლიტიკის შესახებ. სესხის პირობების ცვლილება საკრედიტო რისკის ზრდის ხარისხობრივი მახასიათებელია, ისევე როგორც დეფოლტი ან სესხის გაუფასურება. შესაბამისად „ჯგუფი“ ასეთ კლიენტებს განიხილავს მოდიფიცირებულად და გაუფასურების რეზერვი დგინდება ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხის ეკვივალენტი ოდენობით.

## მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად საჭირო კომპონენტები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი ცვლადი მონაცემები:

- დეფოლტის ალბათობა
- დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში
- დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები ; და
- ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

„ჯგუფის“ მოიპოვებს ამ პარამეტრებს შემუშავებული სტატისტიკური მეთოდებისა და სხვა ისტორიული ფაქტების გამოყენებით. მათი დაკორექტირდება მოხდება მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის გამოყენებით, როგორც ეს ქვემოთაა აღწერილი.

დეფოლტის ალბათობა არის კონკრეტულ თარიღში არსებული ალბათობა, რომელიც დათვლილია ისტორიული ვადაგადაცილებების საფუძველზე და შეფასებულია სხვადასხვა კატეგორიის კლიენტებსა თუ საკრედიტო რისკის ცვლილებების მატრიცის ბაზაზე. ეს სტატისტიკური მოდელები დაფუძნებულია შიდა ინფორმაციაზე, რომელიც მოიცავს როგორც ხარისხობრივ ასევე რაოდენობრივ ინფორმაციას. დიდი მსესხებლების შემთხვევაში გამოიყენება საბაზრო ინფორმაცია, ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში. თუ კლიენტი ან შესაბამისი საკრედიტო რისკი გადაინაცვლებს რისკი კატეგორიებს შორის, ეს გამოიწვევს შესაბამისი დეფოლტის ალბათობის ცვლილებას. დეფოლტის ალბათობა დაითვლება ვალდებულების საკონტაქტო დაფარვის ვადაზე დაყრდნობით.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში წარმოადგენს ზარალის მოცულობას, რაც შეიძლება დადგეს დეფოლტის შემთხვევაში. „ჯგუფი“ დაადგენს დანაკარგებს დეფოლტის შემთხვევაში დეფოლტირებული კლიენტების ისტორიული აღდგენების სტატისტიკაზე დაყრდნობით. დათვლა განხორციელდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე.

დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები წარმოადგენს, ოდენობას რომლის დეფოლტიც შეიძლება მოხდეს. „ჯგუფის“ მოიპოვებს ინფორმაციას დეფოლტს დაქვემდებარებულ თანხებზე, კლიენტების მიმდინარე ვალდებულებების ბაზაზე, რომელიც შეიძლება იქნეს შესწორებული კონტრაქტურ გარიგებების პირობების გათვალისწინებით, ასეთების არსებობის შემთხვევაში. ფინანსური აქტივის შემთხვევაში, დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები იქნება ამ აქტივის მთლიანი ოდენობა. სესხის გაცემის ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიების შემთხვევაში, დეფოლტს დაქვემდებარებული თანხები გაუტოლდება გამოყენებული საკრედიტო რესურსის ოდენობას.

როგორც მაღლა იქნა აღწერილი, მაქსიმუმ 12 თვის განმავლობაში დათვლილი დეფოლტის ალბათობის გათვალისწინებით, იმ აქტივებისათვის რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, „ჯგუფი“ მოახდენს მომავალი საკრედიტო ზარალის დადგენას, იმ დეფოლტის რისკის გათვალისწინებით, რომელიც მსესხებელს ახასიათებს მაქსიმალური საკონტრაქტო პერიოდის განმავლობაში (მსესხებლის ნებისმიერი ვადის გაგრძელების ოფციონის გათვალისწინებით). მაქსიმალური საკონტრაქტო პერიოდი განისაზღვრება იმ პერიოდამდე სადაც „ჯგუფს“ აქვს უფლება მოითხოვოს ნასესხების თანხების დაფარვა ან სესხის გაცემის ვალდებულებისა ან ფინანსური გარანტიის დახურვა

იმ შემთხვევაში როდესაც პარამეტრის მოდელირება ხდება კოლექტიურ ბაზისზე, ფინანსური ინსტრუმენტები დაჯგუფებული იქნებიან საერთო რისკის გათვალისწინებით:

- ინსტრუმენტის ტიპი
- გირაოს ტიპი
- ინსტრუმენტის დაფარვამდე არსებული პერიოდი

ხსენებული დაჯგუფებები რეგულარულად გადაიხედება, რათა თვითოეულ ჯგუფში არსებული რისკების დონე იყოს ჰომოგენური.

### მომავალ პერიოდზე ორიენტირებული ინფორმაცია

ფასს 9 ის თანახმად „ჯგუფი“ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვლისას გაითვალისწინებს მომავალზე ორიენტირებულ ინფორმაციას. „ჯგუფი“ იყენებს ბანკის აქტივებისა და მართვის კომიტეტის საექსპერტო დაშვებებს, მომავალზე ორიენტირებული ინფორმაციის შეფასებისას. ეს შეფასებები ასევე

ეფუძნება გარე ინფორმაციებს. გარე ინფორმაციები მოიცავს, სახელმწიფო ორგანოების და მსხვილი ფინანსური ორგანიზაციების ეკონომიკურ მონაცემებსა და მოლოდინებს, მაგალითად სეზ-ის ინფორმაციებს.

„ჯგუფი“ ასევე პერიოდულად გაატარებს სტრეს ტესტებს ექსტრემალური სცენარების გათვალისწინებით რათა მოახდინოს მიდგომის შემუშავება ამგვარი გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

„ჯგუფმა“ მოახდინა, თითოეული ფინანსური აქტივის პორტფელთან დაკავშირებული საკრედიტო რისკებისა და საკრედიტო დანაკარგების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტების იდენტიფიცირება და დოკუმენტირება. ასევე, ისტორიული მონაცემების გამოყენებით დაადგინა საკრედიტო რისკებსა და საკრედიტო დანაკარგებსა და მაკროეკონომიურ ცვლადებს შორის დამოკიდებულება. ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი მთლიანი შიდა პროდუქტის მოსალოდნელი ოდენობაა. ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორსა და სხვადასხვა ფინანსური აქტივების პორტფელების დეფოლტისა და ზარალის ოდენობას შორის პროგნოზირებული დამოკიდებულება დაფუძნებულია წარსული 4 წლის მონაცემებზე.

### **ზემოქმედების შეფასება**

მოსალოდნელია რომ „ჯგუფის“ მიერ ფასს 9 ის მიღების შედეგად ყველაზე დიდი ზემოქმედება გაუფასურების ახალ მოთხოვნებს ექნება. გაუფასურების ზარალი გაიზრდება და გახდება უფრო ცვალებადი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, ფასს 9 ის გაუფასურების მოდელის გათვალისწინებით.

„ჯგუფმა“ შეაფასა რომ 2018 წლის 1 იანვარს ფასს 9 ის მიღების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ზრდა (საგადასახადო ეფექტის გათვალისწინების გარეშე) დაახლოებით 1,579 ათას ლარს შეადგენს. გაუფასურების ახალი მოთხოვნების შედეგად გაუფასურების ზარალის ყველაზე დიდი ზრდა, გრძელვადიან არაუზრუნველყოფილ პროდუქტებს (საკრედიტო ბარათები და ოვერდრაფტები) შეეხებათ.

### **iii. კლასიფიკაცია-ფინანსური ვალდებულებები**

ფასს 9 უმეტესად უცვლელს ტოვებს ბასს 39 ის მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციასთან მიმართებაში.

### **iv. აღიარების შეწყვეტა და კონტრაქტის მოდიფიკაცია**

ფასს 9 უმეტესად უცვლელად ტოვებს ბასს 39 ის მოთხოვნებს ფინანსური აქტივის და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტასთან მიმართებაში.

თუმცა ის შეიცავს სპეციფიურ მითითებებს, როდესაც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგება ან ზარალში ასახვით ფინანსური ინსტრუმენტის მოდიფიკაცია არ იწვევს აღიარების შეწყვეტას. ფასს 9 ის მიხედვით, „ჯგუფი“ გადაითვლის ფინანსური აქტივის მიმდინარე ღირებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებას) კონტრაქტული ფულადი ნაკადების დისკონტირებით, თავდაპირველი ეფექტური პროცენტის გათვალისწინებით და განსხვავებას აღიარებს მოგება ზარალში როგორც ზარალს ან შემოსულობას. ფასს 39 ის მიხედვით კი, „ჯგუფი“ არ აღიარებს ზარალს ან შემოსულობას, იმ შემთხვევებში როდესაც ფინანსური ვალდებულებისა ან მაღალრისკიანი ფინანსური აქტივის პირობების მოდიფიკაცია არ იწვევს მათი აღიარების შეწყვეტას.

ამ ახალი მოთხოვნების შედეგად „ჯგუფი“ არ ელის არსებით გავლენას.

### **v. წარდგენა**

ფასს 9 მოითხოვს დამატებით ახალ წარსადგენი ინფორმაციას, განსაკუთრებით ჰეჯირების აღრიცხვასა, საკრედიტო რისკებში და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალთან მიმართებაში.

### **vi. ეფექტი კაპიტალური დაგეგმვაზე**

„ჯგუფის“ ამჟამინდელი შეფასებით, ფასს 9 ის მიღებას არ ექნება მნიშვნელოვანი ეფექტი მის საწესდებო კაპიტალზე; თუმცა უახლოეს მომავალში შესაძლებელია შემოდებულ იქნეს ახალი რეგულაციები;

**vii. გარდამავალი ეტაპი**

ფასს 9 ის მიღების შედეგად განხორციელებულ ცვლილებებს ექნება უკუქცევითი ეფექტი გარდა ქვემოთ მოყვანილი შემთხვევებისა.

- „ჯგუფი“ ისარგებლებს გამონაკლისით რომელიც უფლებას აძლევს მას არ მოახდინოს წინა პერიოდის შესადარი ფინანსური ინფორმაციის შესწორება, კლასიფიცირებისა და შეფასებასთან (მათ შორის გაუფასურება) მიმართებაში. ფინანსური აქტივის და ვალდებულების მიმდინარე ღირებულებებს შორის სხვაობა, რომელიც გამოწვეულია ფასს 9 ის მიღებით, აღიარებული იქნება გაუნაწილებელი მოგების და რეზერვების 2018 წლის 1 იანვრის ნაშთში.
- ფასს 9 ის პირველადი გამოყენებისას უნდა განხორციელდეს შემდგომი შეფასებები
- ბიზნეს მოდელების დადგენა სადაც ფინანსური აქტივებია განსაზღვრული
- კაპიტალის ინსტრუმენტებში განხორციელებული გარკვეული ინვესტიციები რომლებიც არ არიან გასაყიდად ხელმისაწვდომი, კლასიფიცირდება როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება ან ზარალში ასახვით;
- თუ სავალო საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მაშინ „ჯგუფი“ შეაფასებს რომ აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მისი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

**(ii) ფასს 15 ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

ფასს 15 (ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან) ადგენს ერთიან ჩარჩოს იმის განსაზღვრელად თუ რა ოდენობის შემოსავალი იყო აღიარებული და როდის ჰქონდა აღნიშნულს ადგილი. სტანდარტი ცვლის არსებულ მეთოდურ მითითებებს შემოსავლების აღიარების თაობაზე, მათ შორის, ბასს 18 (შემოსავალი), ბასს 11 (სამშენებლო ხელშეკრულებები) და ფასიკ 13 (კლიენტების ლოიალურობის პროგრამები). ახალი სტანდარტის ძირითადი პრინციპი ისაა, რომ ორგანიზაცია აღიარებს შემოსავალს, რათა ასახოს დანაპირები საქონლისა ან კლიენტებისთვის მომსახურების გადაცემა იმ თანხით, რომელსაც ორგანიზაცია მოელის საქონლისა ან მომსახურების გაცვლიდან. ახალი სტანდარტი ითვალისწინებს ახსნა-განმარტებებს შემოსავლის შესახებ, მოიცავს მეთოდურ მითითებებს იმ ოპერაციებისთვის, რომლებიც ადრე არ იყო განხილული სრულად და ასევე ხდება გაუმჯობესება იმ შეთანხმებებისთვის, რომლებიც მოიცავენ მრავალ კომპონენტს. ფასს 15 მოქმედია წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრიდან. მისი ვადაზე ადრე დანერგვა ნებადართულია. „ჯგუფმა“ არ განახორციელა სტანდარტის ვადაზე ადრე დანერგვა და არ ელოდება რომ ეს სტანდარტი მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.

**(iii) ფასს 16 - იჯარა**

ფასს 16 ჩაანაცვლებს შემდეგ არსებულ სტანდარტებს და ინტერპრეტაციებს: ბასს 17 (ლიზინგი), ფასიკ 4 (როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას), იმკ 15 (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება) და იმკ 27 (გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას).

ეს სტანდარტი ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია საწარმოებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ს თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ამ თარიღამდე.

ფასს 16 განსაზღვრავს საბალანსო ერთჯერად, საბალანსო იჯარის აღრიცხვის მოდელს იჯარებისთვის. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის. მეიჯარის სააღრიცხვო პროცედურები არსებულ სტანდარტს ჰგავს - ე.ი. მეიჯარე განაგრძობს იჯარების ფინანსური ან საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირებას.

„ჯგუფმა“ შეაფასა ფასს 16-ის მიღებით გამოწვეული მისი ფინანსური ანგარიშგებების პოტენციურ გავლენას. ფასს 16-ის გამოყენების ფაქტიური გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თავდაპირველი გამოყენების პერიოდში დამოკიდებული იქნება მომავალ ეკონომიკურ პირობებზე, მათ

შორის 2019 წლის 1 იანვარს „ჯგუფის“ საკრედიტო განაკვეთზე, კომპანიის საიჯარო პორტფელის შემადგენლობაზე, „ჯგუფის“ მიერ განხორციელებულ ბოლო შეფასებაზე იმასთან დაკავშირებით, ისარგებლებს ის თუ არა რაიმე სახის იჯარის განახლების ფუნქციით და ასევე „ჯგუფის“ მიერ პრაქტიკული ჩანაწერებისა და აღიარებების გათავისუფლების გამოყენებისთვის შერჩეულ დიაპაზონზე.

ამასთან, ამგვარი იჯარებთან დაკავშირებული ხარჯების ხასიათი არ შეიცვლება, რადგან ფასს 16 ჩაანაცვლებს საოპერაციო იჯარის ხარჯს, ცვეთის ხარჯით, იმ აქტივებისთვის, რომელთა გამოყენების უფლებაც არსებობს და საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებებზე. „ჯგუფი“ აფასებს პოტენციურ გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. არ არის მოსალოდნელი, რომ ქვემოთ მოცემულ შეცვლილ სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ფასს-ების ყოველწლიური გაუმჯობესების 2014-2016 წლების ციკლი - ფასს 1-ის და ბასს 28-ის ცვლილებები.
- აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 2-ის ცვლილება).
- საინვესტიციო ქონების გადაცემა (ბასს 40-ის ცვლილება).
- ინვესტორსა და მასთან დაკავშირებულ პირს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივებით ვაჭრობა ან კონტრიბუცია (ფასს 10-ის და ბასს 28-ის ცვლილება).
- ფასიკ 22 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად.
- ფასიკ 23 მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული გაურკვევლობები.

#### 4. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი '000	2017	2016
ნაღდი ფული სალაროში	42,289	36,834
ნოსტრო ანგარიშები სებ-ში	15,573	13,809
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო ინსტიტუტებში		
- შეფასებული 'A'-დან 'A+'-მდე	20,156	3,530
- შეფასებული 'BBB'-დან 'BBB+'-მდე	205	33,703
- შეფასებული 'BB'-დან 'BB+'-მდე	10,399	3,619
- შეფასების გარეშე	181	60
<b>სულ მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო ინსტიტუტებში</b>	<b>30,941</b>	<b>40,912</b>
<b>სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები</b>	<b>88,803</b>	<b>91,555</b>

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არ არიან გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფს“ არ ჰყავდა მოკორესპონდენტო ბანკი (2016 წელს: 1 ბანკი), რომელთან ნაშთი აღემატება საკუთარი კაპიტალის 10%-ს. ამ ნაშთის მთლიანი ღირებულება 2016 წელს შეადგენდა 33,514 ათასი ლარს.

#### 5. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

53,333 ათასი ლარის (2016 წელს: 29,465 ათასი ლარი) საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს საქართველოს მთავრობის სახაზინო ობლიგაციებს. ყველა საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი დენომინირებულია ქართულ ლარში და მათი სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი და ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017 წლის 31 დეკემბერი		2016 წლის 31 დეკემბერი	
	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, %	ვადიანობა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, %	ვადიანობა
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	7 - 14	2018 - 2022	7 - 14	2017 - 2020

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული ან ვადაგადაცილებული არ არის.

## 6. კლიენტებზე გაცემული სესხები

ლარი '000	2017	2016
ბიზნეს სესხები	235,007	184,893
სამომხმარებლო სესხები	194,510	147,710
ოქროს სალომბარდო სესხები	105,564	95,956
იპოთეკური სესხები	59,467	38,268
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები (ბრუტო)</b>	<b>594,548</b>	<b>466,827</b>
გაუფასურების რეზერვის გამოკლებით	(34,606)	(31,884)
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები (ნეტო)</b>	<b>559,942</b>	<b>434,943</b>

### (ა) საკრედიტო პორტფელის ინდუსტრიული და გეოგრაფიული ანალიზი

კლიენტებზე სესხები პირველ რიგში გაცემულია საქართველოში მცხოვრებ კლიენტებზე, რომლებიც საქმიანობენ შემდეგ ეკონომიკურ სექტორებში:

ლარი '000	2017	2016
ფიზიკური პირები	253,977	185,978
ოქროს სალომბარდო სესხების სექტორი	105,564	95,956
სავაჭრო და მომსახურების სექტორი	105,118	85,121
სამშენებლო სექტორი	62,370	40,863
ფინანსური ინსტიტუტები	11,086	18,289
ჯანდაცვა	14,041	15,793
ენერჯეტიკის სფერო	22,829	15,248
სასოფლო სამეურნეო და კვების პროდუქტების სფერო	17,842	7,027
სხვა	1,721	2,552
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>594,548</b>	<b>466,827</b>

### (ბ) მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკები

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფის“ არცერთი მსესხებლის ნაშთი არ აჭარბებს საკუთარი კაპიტალის 10%-ს.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბანკი“ ფლობდა 84,163 ათასი ლარის ოდენობით წარმოდგენილ სესხების კონცენტრაციას ათ უმსხვილეს მესამე პირის მსესხებელთან (2016 წელს: 79,400 ათასი ლარი). ამ სესხებთან მიმართებაში აღიარებულია 5,248 ათასი ლარის (2016 წელს: 4,073 ათასი ლარი) რეზერვი. დეტალური ინფორმაცია სესხების ხარისხთან დაკავშირებით იხილეთ 21 განმარტებით შენიშვნაში.

### (გ) ცვლილება კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვებში

ლარი '000	ბიზნეს სესხები	სამომხმარებლო სესხები	იპოთეკური სესხები	ოქროს სალომბარდო სესხები	
				სესხები	სულ
2017 წლის 1 იანვარს	5,780	7,797	1,702	16,605	31,884
დარიცხვა / (ჩამოწერა) წლის განმავლობაში	44	2,398	237	1,782	4,461
ამოღება	23	863	119	2	1,007
ჩამოწერილი თანხები	(205)	(2,398)	(97)	(46)	(2,746)
<b>2017 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>5,642</b>	<b>8,660</b>	<b>1,961</b>	<b>18,343</b>	<b>34,606</b>
ინდივიდუალური გაუფასურება	1,246	473	140	18,317	20,176
კოლექტიური გაუფასურება	4,396	8,187	1,821	26	14,430
	<b>5,642</b>	<b>8,660</b>	<b>1,961</b>	<b>18,343</b>	<b>34,606</b>
გაუფასურებაზე ინდივიდუალურად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოკლებამდე	<b>7,621</b>	<b>815</b>	<b>364</b>	<b>36,406</b>	<b>45,206</b>

ლარი '000	ოქროს				
	ბიზნეს სესხები	სამომხმარებლო სესხები	იპოთეკური სესხები	სალომბარდო სესხები	სულ
2016 წლის 1 იანვარს	6,400	6,153	1,897	11,656	26,106
დარიცხვა წლის განმავლობაში	(174)	5,253	(14)	4,949	10,014
ამოღება	107	766	37	-	910
ჩამოწერილი თანხები	(553)	(4,375)	(218)	-	(5,146)
<b>2016 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>5,780</b>	<b>7,797</b>	<b>1,702</b>	<b>16,605</b>	<b>31,884</b>
ინდივიდუალური გაუფასურება	1,256	417	223	16,605	18,501
კოლექტიური გაუფასურება	4,524	7,380	1,479	-	13,383
	<b>5,780</b>	<b>7,797</b>	<b>1,702</b>	<b>16,605</b>	<b>31,884</b>
გაუფასურებაზე ინდივიდუალურად შეფასებული სესხის მთლიანი თანხა, ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურების რეზერვის გამოკლებამდე	<b>7,477</b>	<b>417</b>	<b>479</b>	<b>36,196</b>	<b>44,569</b>

(დ) მნიშვნელოვანი დაშვებები და მსჯელობები სესხის გაუფასურების შეფასებისთვის

„ჯგუფი“ კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურებას აფასებს გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნების მქონე სესხების მომავალი ფულადი ნაკადების ანალიზის და იმ სესხებზე ზარალის წარსული გამოცდილების საფუძველზე, რომლებზეც არ იდენტიფიცირებულა გაუფასურების ინდივიდუალური ნიშნები.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი საკრედიტო პორტფელის 549,342 ათასი ლარი (2016 წელს: 422,258 ათასი ლარი) შეფასდა კოლექტიურად და მასთან მიმართებაში შეიქმნა სესხების ზარალის რეზერვი 14,430 ათასი ლარის (2016 წელს 13,383 ათასი ლარის) ოდენობით, რომელიც შეადგენს კოლექტიურად შეფასებული საკრედიტო პორტფელის ზარალის განაკვეთის 2.63%-ს (2016 წელს: 3.17%). კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა იყენებს შეფასებას, რომელიც ეყრდნობა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე აქტივებზე უკანასკნელი 3 წლის წარსულ გამოცდილებას და ასევე სესხების გაუფასურების ობიექტურ მტკიცებულებას სესხების მოცემულ ჯგუფში შემავალი აქტივების მსგავს აქტივებზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი საკრედიტო პორტფელის 45,206 ათასი ლარი (2016 წელს: 44,569 ათასი ლარი) განისაზღვრა ინდივიდუალურად გაუფასურებულად და შეიქმნა რეზერვი 20,176 ათასი ლარის (2016 წელს: 18,501 ათასი ლარი) ოდენობით. „ჯგუფი“ ქმნის ინდივიდუალურად შეფასებული სესხების რეზერვს სესხის საბალანსო ღირებულებასა და კლიენტებზე გაცემული იმ სესხების სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობის თანხით, რომლებთან მიმართებაშიც „ჯგუფი“ თვლის, რომ ადგილი აქვს ზარალის შემთხვევას. მომავალი ფულადი ნაკადები განისაზღვრებიან, როგორც დაგირავებული უზრუნველყოფის ღირებულება და მოსალოდნელი მომავალი გადახდები, რომელიც დისკონტირდება უზრუნველყოფის დასაკუთრებიდან მიღებული შემოსავლის დაახლოებით 2-წლიანი შეფერხებით. ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს უზრუნველყოფის საგნის საბაზრო ღირებულებას და საჭიროების შემთხვევაში, მიმართავს დამოუკიდებელ ექსპერტის მოსაზრებას. ზარალის დადგომის მოვლენის განსაზღვრა პირველ რიგში დამოკიდებულია მსესხებელთა საკრედიტო მომსახურებაზე.

სესხის დანაკარგების რეზერვი ოქროს სალომბარდო სესხებზე ძირითადად უკავშირდება სესხებს, რომლებიც გაიცა „ჯგუფის“ თანამშრომლების თაღლითური ქმედებით 2015 და წინა წლებში. კერძოდ, ოქროს რამდენიმე სალომბარდო სესხისთვის მიღებული უზრუნველყოფის თანხა ზედმეტად იქნა შეფასებული და აღრიცხული. შესაბამისად სესხის გირაო არაადეკვატური იყო. „ჯგუფმა“ დაიქირავა დამოუკიდებელი გარე შემფასებელი პოტენციურად საეჭვო უზრუნველყოფის შემოწმებისა და გადაფასების მიზნით. დამოუკიდებელი გარე შემფასებლის მიერ უზრუნველყოფის საგნის განმეორებით შეფასებით გამოვლინდა „ჯგუფის“ პოლიტიკებისა და საკრედიტო ლიმიტების დაზღვევის სესხის გაცემის შემთხვევები. შედეგად, ოქროს სალომბარდო სესხებთან მიმართებაში აღიარებულ იქნა ინდივიდუალური გაუფასურების ზარალი.

**(ე) უზრუნველყოფის საგნის და საკრედიტო ხარისხის სხვა გაუმჯობესებების ანალიზი**

კლიენტის ზოგადი კრედიტუნარიანობა მიიჩნევა მასზე გაცემული სესხის საკრედიტო ხარისხის ყველაზე რელევანტურ ინდიკატორად. თუმცა, უზრუნველყოფის საგანი იძლევა დამატებით გარანტიას და „ჯგუფი“, როგორც წესი, მსესხებლისგან მოითხოვს სესხის უზრუნველყოფას.

მოთხოვნილი უზრუნველყოფის თანხა და ტიპი დამოკიდებულია მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. „ჯგუფმა“ შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითებები დასაშვები უზრუნველყოფის ტიპის და შეფასების პარამეტრების შესახებ.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- ოქროს სალომბარდო სესხებისთვის - ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები და სამკაულები („ძვირფასი ლითონები“);
- კომერციული სესხებისთვის - უძრავი ქონების, მოძრავი ქონებისა და მარაგების იპოთეკით დატვირთვა;
- საცალო სესხებისთვის - უძრავი ქონება, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა მოძრავი ქონება.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს იმას, რომ ბიზნეს სესხების, ოქროს სალომბარდო სესხებისა და იპოთეკური სესხების ძირითადი ნაწილი სრულად იქნას დაფარული გირაოს საბაზრო ღირებულებით.

ლარი '000 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	წმინდა ღირებულება					
	უძრავი ქონება	ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა	სხვა	უზრუნველყოფის გარეშე	ძვირფასი ლითონები	სულ
ბიზნესი	191,294	18,879	18,827	365	-	229,365
სამომხმარებლო	138,301	3,367	931	43,220	-	185,819
იპოთეკური	57,421	38	75	3	-	57,537
ოქროს სალომბარდო	1,558	3,558	-	1,248	80,857	87,221
<b>სულ</b>	<b>388,574</b>	<b>25,842</b>	<b>19,833</b>	<b>44,836</b>	<b>80,857</b>	<b>559,942</b>

ლარი '000 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	წმინდა ღირებულება					
	უძრავი ქონება	ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა	სხვა	უზრუნველყოფის გარეშე	ძვირფასი ლითონები	სულ
ბიზნესი	142,600	18,167	15,776	1,560	1,010	179,113
სამომხმარებლო	86,202	2,198	1,028	50,485	-	139,913
იპოთეკური	36,187	-	-	379	-	36,566
ოქროს სალომბარდო	491	-	-	3,169	75,691	79,351
<b>სულ</b>	<b>265,480</b>	<b>20,365</b>	<b>16,804</b>	<b>55,593</b>	<b>76,701</b>	<b>434,943</b>

ზემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჭარბი უზრუნველყოფა. სხვადასხვა სახის გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებისთვის, ნაჩვენებია უზრუნველყოფა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება გაუფასურების შეფასებას. უზრუნველყოფის გარეშე სესხების უდიდესი ნაწილი წარმოადგენს სახელფასო სესხებს.

**(ვ) დასაკუთრებული უზრუნველყოფა**

დასაკუთრებული უზრუნველყოფა ძირითადად წარმოადგენს უძრავი ქონებას, რომელსაც „ჯგუფი“ იღებს ვადაგადაცილებული სესხების დასაფარად. ეს აქტივები მიიჩნევა მარაგებად, შეძენისას აღიარდება შესაბამის სესხის წმინდა საბალანსო ღირებულებით და შემდგომში ფასდება ამ ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. „ჯგუფის“ პოლიტიკა ითვალისწინებს დასაკუთრებული უზრუნველყოფის შეძლებისდაგვარად მალე გაყიდვას.



## 7. ძირითადი საშუალებები

ლარი '000	მიწა	შენობა- ნაგებობები	საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი, ინვენტარი და სხვა ძირითადი საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
<b>თვითღირებულება</b>							
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	449	13,813	5,979	676	6,174	2,837	29,928
შესყიდვები	-	1,353	1,136	5	1,453	187	4,134
გაყიდვები	-	-	(236)	-	(175)	(5)	(416)
გადატანა	-	(63)	-	-	27	36	-
<b>2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>449</b>	<b>15,103</b>	<b>6,879</b>	<b>681</b>	<b>7,479</b>	<b>3,055</b>	<b>33,646</b>
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	449	15,103	6,879	681	7,479	3,055	33,646
შესყიდვები	-	1,450	284	16	1,124	98	2,972
გაყიდვები	-	-	-	-	(64)	(983)	(1,047)
გადაცემები	-	(1,100)	-	-	-	1,100	-
<b>2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>449</b>	<b>15,453</b>	<b>7,163</b>	<b>697</b>	<b>8,539</b>	<b>3,270</b>	<b>35,571</b>
<b>დაგროვილი ცვეთა</b>							
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	2,589	3,268	522	5,159	2,294	13,832
ცვეთის ხარჯი	-	590	739	78	418	252	2,077
გაყიდვები	-	-	(236)	-	(175)	(6)	(417)
<b>2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>-</b>	<b>3,179</b>	<b>3,771</b>	<b>600</b>	<b>5,402</b>	<b>2,540</b>	<b>15,492</b>
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	3,179	3,771	600	5,402	2,540	15,492
ცვეთის ხარჯი	-	645	816	57	630	213	2,361
გაყიდვები	-	-	-	-	(62)	(962)	(1,024)
<b>2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>-</b>	<b>3,824</b>	<b>4,587</b>	<b>657</b>	<b>5,970</b>	<b>1,791</b>	<b>16,829</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>							
1 იანვარი 2016 წელი	449	11,224	2,711	154	1,015	543	16,096
31 დეკემბერი 2016 წელი	449	11,924	3,108	81	2,077	515	18,154
31 დეკემბერი 2017 წელი	449	11,629	2,576	40	2,569	1,479	18,742

## 8. გუდვილი

გუდვილი 20,374 ათასი ლარის ოდენობით სრულად უკავშირდება 2008 წელს სს „კორის“ მიერ სს „სტანდარტ ბანკის“ შექმნას. სს „კორი“ დაფუძნდა კომერციული ბანკის სახით სს „სტანდარტ ბანკის“ შექმნის პერსპექტივით და მას არ განუხორციელებია რაიმე ოპერაცია ბიზნეს კომბინაციამდე.

„ჯგუფი“ მიიჩნევა ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთადერთ ერთეულად გაუფასურების შემოწმების მიზნით. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი თანხა ეფუძნება გამოყენებით ღირებულებას, რომელიც შეფასებულია ფულადი ნაკადების დისკონტირების გზით.

ანაზღაურებადი თანხების შეფასებაში გამოყენებული მნიშვნელოვანი დაშვებები წარმოდგენილია ქვემოთ. მნიშვნელოვან დაშვებებზე მინიჭებული ღირებულებების წარმოადგენდნენ ხელმძღვანელობის მიერ საბანკო სექტორში მომავალი ტენდენციების და ქვეყნის ეკონომიკის ზრდის დაგეგმილი განაკვეთის შეფასებას და ეფუძნება როგორც გარე, ისე - შიდა წყაროებიდან მოპოვებულ ისტორიულ მონაცემებს.

პროცენტებში	2017	2016
დისკონტირების განაკვეთი	10.2%	10.6%
ზრდის განაკვეთი ოპერაციების შეწყვეტამდე	5.5%	5.0%
თავისუფალი ფულადი ნაკადების დაგეგმილი ზრდის განაკვეთი (საშუალოდ მომავალი ხუთი წლისთვის)	5.5%	5.0%

დისკონტირების განაკვეთი ასახავს აშშ დოლარში ინვესტირებულ კაპიტალზე, ფულადი ნაკადების

უკუგების მოთხოვნილ განაკვეთს, მსგავსი კომპანიებისათვის.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის შეფასებული ანაზღაურებადი თანხა აღემატებოდა მის საბალანსო ღირებულებას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არანაირი გონივრული ცვლილება მნიშვნელოვან დაშვებებში არ გამოიწვევდა ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულების გადაჭარბებას ანაზღაურებად თანხაზე.

## 9. დაბეგვრა

ლარი'000	2017	2016
მიმდინარე საგადასახადო ხარჯი		
მიმდინარე წელი	-	-
ცვლილება დროებით სხვაობებში დროებითი სხვაობების წარმოშობის ან გაუქმების შედეგად	39	282
<b>სულ მოგების გადასახადი სარგებელი</b>	<b>39</b>	<b>282</b>

2017 წელს, მიმდინარე და გადავადებული გადასახადების მოქმედი საგადასახადო განაკვეთია 15% (2016 წელს: 15%).

### ეფექტური საგადასახადო განაკვეთის რეკონსილაცია

ლარი '000	2017	%	2016	%
მოგება დაბეგვრამდე	11,883		5,254	
მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო განაკვეთით	(1,782)	(15)	(788)	(15)
ცვლილება არალიარებულ საგადასახადო აქტივში	654	6	(847)	(16)
კანონმდებლობაში ცვლილებით გამოწვეული ცვლილება აღიარებულ გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებაში (განმარტებითი შენიშვნა 3)	658	6	1,423	27
წმინდა დაუბეგრავი შემოსავალი	509	4	494	9
	<b>39</b>	<b>1</b>	<b>282</b>	<b>5</b>

### წლის განმავლობაში დროებით სხვაობებში ცვლილება

'000 ლარი	1 იანვარი	მოგებაში ან	31 დეკემბერი
	2017 წელი	ზარალში აღიარებული	2017 წელი
კლიენტებზე გაცემული სესხები	(1,437)	496	(941)
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	66	359	425
მომავალ პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი	1,380	(436)	944
სხვა	(324)	(380)	(704)
	<b>(315)</b>	<b>39</b>	<b>(276)</b>

'000 ლარი	1 იანვარი	მოგებაში ან	31 დეკემბერი
	2016 წელი	ზარალში აღიარებული	2016 წელი
კლიენტებზე გაცემული სესხები	877	(2,314)	(1,437)
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივი	(1,789)	1,855	66
მომავალ პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი	115	1,265	1,380
სხვა	200	(524)	(324)
	<b>(597)</b>	<b>282</b>	<b>(315)</b>

### მომავალ პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი

გადავადებული საგადასახადო აქტივები არ აღიარებულა შემდეგ ერთეულებთან მიმართებაში:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
მომავალ პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი	193	847

„ჯგუფის“ მომავალ პერიოდებზე გადატანილი საგადასახადო ზარალი ვადის გასვლის დღისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
2019	-	115
2021	1,137	2,112
	<b>1,137</b>	<b>2,227</b>

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, საგადასახადო ზარალი შესაძლოა გადატანილ იქნას 5 წლამდე ვადით. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების (განმარტებითი შენიშვნა 3) გამო, საგადასახადო ზარალს გადატანის ვადა გაუვა 2019 წლის 1 იანვარს. გადავადებული საგადასახადო აქტივი 944 ათასი ლარის ოდენობით აღიარებულია მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ სავარაუდოა, რომ გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი გამოყენებული იქნება მომავალში დასაბეგრ მოგებასთან მიმართებით.

საქართველოს ხელისუფლების ბოლო განცხადების თანახმად, საბანკო სექტორის გადასვლა ახალ საგადასახადო საკანონმდებლო სისტემაზე (შენიშვნა 3) ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან, ნაცვლად 2019 წლის 1 იანვრისა. იმის მიუხედავად, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი ჯერ არ შეცვლილა, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მთავრობის საჯარო განცხადება ასახული იქნება საგადასახადო კოდექსში.

## 10. სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან

'000 ლარი	ვალუტა	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
			ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ბლექ სი თრიდ ენდ დეველოპმენტ ბანკი (BSTDB)	აშშ დოლარი	2018	9,934	9,934	10,696	10,696
Nederlandse Financierings-Maatschappij Voor Ontwikkelingslanden N.V. ("FMO")	ლარი	2023	31,260	31,260	-	-
სესხები სებ-სგან	ლარი	2018	24,020	24,020	-	-
<b>სულ</b>			<b>65,214</b>	<b>65,214</b>	<b>10,696</b>	<b>10,696</b>

ლიკვიდურობის მართვის მიზნით, ბანკმა სებ-ისგან მიიღო, 24,020 ათასი ლარის ოდენობის მოკლევადიან სესხები 3 თვემდე საწყისი დაფარვით ვადით.

„ჯგუფმა“ დააკმაყოფილა სასესხო ხელშეკრულებებში განსაზღვრული ყველა ფინანსური შეზღუდვა 2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

## 11. სუბორდინირებული სესხები

'000 GEL	ვალუტა	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2017		31 დეკემბერი 2016	
			ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
შპს „სტანდარტ კაპიტალ საქართველო“	აშშ დოლარი	2025	6,268	6,268	7,183	7,183
შპს „სტანდარტ კაპიტალ საქართველო“	აშშ დოლარი	2026	4,696	4,696	5,341	5,341
დაბი კონტრაქტინგი*	აშშ დოლარი	2023	20,742	20,742	21,181	21,181
<b>სულ სუბორდინირებული სესხები</b>			<b>31,706</b>	<b>31,706</b>	<b>33,705</b>	<b>33,705</b>

გაკოტრების შემთხვევაში, სუბორდინირებული სესხები დაიფარება „ჯგუფის“ ყველა სხვა ვალდებულების სრულად დაფარვის შემდეგ.

\* 2016 წელს სუბორდინირებული სესხი 2,000 ათასი აშშ დოლარის (4,938 ათასი ლარი) ოდენობით, გადაიფარა „ბანკის“ სააქციო კაპიტალის გამოშვებით (განმარტებითი შენიშვნა 16).

## 12. ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, წარმოდგენილი პერიოდისთვის, ანალიზდება იმ ვალდებულებების მოძრაობა, რომლებიც ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებაში, დაკავშირებული არიან ფინანსური საქმიანობიდან ფულად ნაკადებთან.

ლარი '000	სესხები ფინანსური სუბორდინირებული ინსტიტუტებისგან		სულ
	სესხები	სესხები	
ნაშთი 2017 წლის 1 იანვარს	10,696	33,705	44,401
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან	<b>53,109</b>	<b>(1,271)</b>	<b>51,838</b>
სესხების მიღება	59,467	-	59,467
სესხების დაფარვა	(6,358)	(1,271)	(7,629)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რეგულირება	592	(740)	(148)
სხვა არაფულადი მოძრაობები	817	12	829
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	<b>65,214</b>	<b>31,706</b>	<b>96,920</b>

რადგან ცვლილებები ამოქმედებამდე ერთი წლით ადრე გამოქვეყნდა, „ჯგუფი“ არ წარმოადგენს შედარებად ინფორმაციას, იმდენად რამდენადაც იგი ამ ცვლილებებს იყენებს პირველად.

## 13. დეპოზიტები და ვალდებულებები ბანკების წინაშე

ლარი '000	2017	2016
ვადიანი დეპოზიტები ბანკებისგან	16,785	-
სხვა ბანკების მოკლევადიანი ანგარიშები	167	416
სულ დეპოზიტები და ვალდებულებები ბანკების წინაშე	<b>16,952</b>	<b>416</b>

## 14. მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან

ლარი '000	2017	2016
მიმდინარე ანგარიშები	139,371	241,063
ვადიანი ანაზრები	440,255	279,539
სულ მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები კლიენტებისგან	<b>579,626</b>	<b>520,602</b>
გაცემული გარანტიებისა და აკრედიტივების უზრუნველყოფა	<b>18,367</b>	<b>14,197</b>

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფს“ ჰყავს 7 კლიენტი (2016 წელს: 12 კლიენტი), რომელთა ნაშთები აღემატება საკუთარი კაპიტალის 10%-ს. ეს ნაშთები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 161,225 ათას ლარს (2016 წელს: 226,227 ათასი ლარი).

ლარი '000	2017	2016
კერძო საწარმოები	317,861	301,533
ფიზიკური პირები	204,355	145,472
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები	57,410	73,597
სულ მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები კლიენტებისგან	<b>579,626</b>	<b>520,602</b>

კლიენტებთან არსებული თანხების ეკონომიკური სექტორის მიერ განხორციელებული ანალიზი:

ლარი '000	2017	2016
ფიზიკური პირები	204,355	145,472
სახელმწიფო და საბიუჯეტო ორგანიზაციები	57,410	73,597
ვაჭრობა და მომსახურება	104,511	51,791
ენერჯეტიკა	27,870	43,461
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	23,392	42,323
მშენებლობა	46,372	39,826
არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები	19,137	19,220
დაზღვევა	9,229	15,943
სამთო მრეწველობა	2,771	3,269
სხვა	84,579	85,700
სულ მიმდინარე ანგარიშები და ანაზრები კლიენტებისგან	<b>579,626</b>	<b>520,602</b>

## 15. სხვა ვალდებულებები

ლარი '000	2017	2016
სვოპ ხელშეკრულებები	-	6,917
ანგარიშსწორება პლასტიკური ბარათებითა და თანხის გადარიცხვის ოპერაციები	8,010	2,687
თანამშრომლებისთვის დარიცხული ანაზღაურების თანხა	2,764	675
ფინანსური ვალდებულებები მიღებული მომსახურებებიდან	598	654
სხვა	561	456
<b>სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>11,933</b>	<b>11,389</b>
ანარიცხები გარანტიებისთვის და საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები	548	360
სხვა ანარიცხები	1,755	250
სხვა	321	409
<b>სულ სხვა ვალდებულებები</b>	<b>14,557</b>	<b>12,408</b>

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია აქტივებად ან ვალდებულებებად აღრიცხული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები, მათ შორით ღირებულებებთან ერთად. ბრუტო სახით აღრიცხული შიშვითი ღირებულება წარმოადგენს წარმოებული ინსტრუმენტის ქვემდებარე აქტივის თანხას, საცნობარო განაკვეთს ან ინდექსს და წარმოადგენს წარმოებული ინსტრუმენტების ღირებულებაში ცვლილებების შეფასების საფუძველს. შიშვითი ღირებულება აღნიშნავს წლის ბოლოსთვის დარჩენილი ოპერაციების მოცულობას და არა ინდიკაციურ საკრედიტო რისკს.

ლარი '000	2017		2016	
	შიშვითი ღირებულება	ვალდებულებები/ აქტივები სამართლიანი ღირებულებით	შიშვითი ღირებულება	ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით
სავალუტო ხელშეკრულებები				
სვოპები - ადგილობრივი	32,878	(111)	34,439	6,917

## 16. საკუთარი კაპიტალი

### აქციების რაოდენობა

	ჩვეულებრივი აქციები	
	2017	2016
გამოშვებული 1 იანვრის მდგომარეობით	1,213,720	1,110,000
ნაღდი ფულის სახით გამოშვებული, სრულად გადახდილი	-	54,329
გაქვითული სუბორდინირებული სესხით (განმარტებითი შენიშვნა 11)	-	49,391
გამოშვებული 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გადახდილი	<b>1,213,720</b>	<b>1,213,720</b>
ავტორიზებული აქციები - ნომინალური ღირებულება	<b>100</b>	<b>100</b>

ყველა ჩვეულებრივი აქცია ხარისხდება თანაბრად „ბანკის“ ნარჩენ აქტივებთან მიმართებაში.

### ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილი არიან მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და მათ აქვთ „ბანკის“ კრებებზე აქციაზე ერთი ხმის უფლება. 2017 და 2016 წელში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ გადახდილა.

## 17. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

ლარი '000	2017	2016
კლიენტებზე გაცემული სესხები	58,344	58,751
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	3,824	3,172
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და სავალდებულო რეზერვი სებ-ში	912	1,170
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>63,080</b>	<b>63,093</b>
მიმდინარე ანგარიშები და ანაზღაურებები კლიენტებისგან	23,342	31,003
სესხი ფინანსური ინსტიტუტებისგან	3,962	2,355
სუბორდინირებული სესხები	2,175	2,671
<b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>	<b>29,479</b>	<b>36,029</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>33,601</b>	<b>27,064</b>

## 18. საკომისიო შემოსავალი და ხარჯები

ლარი '000	2017	2016
ოპერაციები პლასტიკური ბარათით	3,084	2,578
ანგარიშსწორების ოპერაციები	1,638	1,338
გარანტიები და გაცემული აკრედიტივები	1,166	800
ფულადი ოპერაციები	570	995
სხვა	963	589
<b>სულ საკომისიო შემოსავალი</b>	<b>7,421</b>	<b>6,300</b>
ოპერაციები პლასტიკური ბარათით	2,777	2,415
ფულადი ოპერაციები	544	377
ანგარიშსწორების ოპერაციები	400	442
სხვა	329	322
<b>სულ საკომისიო ხარჯები</b>	<b>4,050</b>	<b>3,556</b>
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>3,371</b>	<b>2,744</b>

## 19. სხვა საოპერაციო ხარჯები

ლარი '000	2017	2016
მიმდინარე საიჯარო ხარჯები	2,424	2,073
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურებები	1,511	1,381
პროფესიონალური მომსახურებები	1,300	1,169
რემონტი და ტექნიკური უზრუნველყოფა	735	692
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	535	596
კომუნიკაციები	409	370
დაზღვევა	401	255
ტრანსპორტირება და ინკასაცია	386	373
დაცვის ხარჯი	374	369
წარმომადგენლობითი ხარჯები	298	546
საოფისე ინვენტარი	280	329
სამივლინებო ხარჯები	108	122
პლასტიკური ბარათის ხარჯები	66	161
სხვა	891	973
<b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>	<b>9,718</b>	<b>9,409</b>

2017 წელს ფინანსური აუდიტორებისთვის გადახდილი პროფესიონალურმა ხარჯებმა შეადგენდა 96 ათასი ლარი (2016 წელს: 108 ათასი ლარი).

## 20. საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები

„ჯგუფს“ აქვს შესასრულებელი სესხების გაცემის საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები. საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები იღებენ დამტკიცებული სესხების ფორმას, საკრედიტო ბარათების

ლიმიტებსა და ოვერდრაფტის ფუნქციებს. „ჯგუფი“ გასცემს ფინანსურ გარანტიებს და აკრედიტივებს კლიენტების მხრიდან მესამე პირების წინაშე ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. ამ ხელშეკრულებებს აქვთ ფიქსირებული ლიმიტები და ზოგადად გრძელდება სამ წლამდე ვადით.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების, ფინანსური გარანტიებისა და აკრედიტივების გაცემისას „ჯგუფი“ იყენებს იგივე საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებს, რომელსაც ის მიმართავს კლიენტებზე სესხების გაცემისას.

საკრედიტო ხასიათის ვალდებულებების სახელშეკრულებო თანხები კატეგორიების მიხედვით მოცემულია შემდეგ ცხრილში. ცხრილში წარმოდგენილი საკრედიტო ხასიათის ვალდებულებებთან დაკავშირებული თანხები მოიაზრებს წინასწარ სრულად გადახდილ თანხებს. ცხრილში ასახული გარანტიებისა და აკრედიტივებისთვის განკუთვნილი თანხები მოიცავს მაქსიმალურ საადრიცხო ზარალს, რომელიც აღიარდებოდა ანგარიშგების დღეს, თუ კონტრაქტორები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების სრულად შესრულებას.

ლარი '000	2017	2016
<b>საკრედიტო ხასიათის ვალდებულები</b>		
გარანტიები	55,708	33,352
აკრედიტივები	1,122	386
<b>სულ საკრედიტო ხასიათის ვალდებულები</b>	<b>56,830</b>	<b>33,738</b>
მინუს გარანტიებისა და აკრედიტივების უზრუნველყოფის სახით არსებული ფულადი სახსრები	(18,367)	(14,197)
<b>სულ გარანტიები და აკრედიტივები</b>	<b>38,463</b>	<b>19,541</b>
<b>გამოყენებული სესხის გაცემის ვალდებულებები</b>	<b>5,574</b>	<b>5,102</b>

## 21. რისკების მართვა

რისკების მართვა საბანკო ბიზნესისთვის ფუნდამენტურია და „ჯგუფის“ ოპერირებისთვის აუცილებელი ელემენტების ფორმირებას ახდენს. „ჯგუფისთვის“ უმთავრესს წარმოადგენს საბაზრო, საკრედიტო, ლიკვიდურობის, ასევე საოპერაციო, იურიდიული და რეპუტაციასთან დაკავშირებული რისკები.

„ჯგუფის“ რისკების მართვის პოლიტიკები მიზნად ისახავს რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას, რისკების სათანადო ზღვრის დაწესებას და კონტროლს, რისკის დონის მუდმივ კონტროლს და ლიმიტების დაცვას. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები გადაიხედება რეგულარულად, რათა აისახოს მასში ცვლილებები საბაზრო პირობებში, შეთავაზებულ პროდუქტებსა და სერვისებში და განვითარდეს საუკეთესო პრაქტიკა. „ჯგუფმა“ შეიმუშავა ანგარიშგების სისტემა მნიშვნელოვანი რისკებისა და კაპიტალის შესახებ.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფის“ ხელმძღვანელობის უფლებამოსილმა ორგანოებმა ეროვნული ბანკის რეკომენდაციებისა და რეგულაციების მიხედვით, დაამტკიცეს „ჯგუფის“ შიდა დოკუმენტაცია, რომელშიც ჩამოყალიბებულია „ჯგუფის“ ძირითადი რისკების ამოცნობის, მართვისა და სტრეს-ტესტის პროცედურები და მეთოდოლოგიები.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია მნიშვნელოვანი რისკების მართვის სისტემის ზედამხედველობაზე, ასევე მიმოიხილავს რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებს, ასევე ამტკიცებს მაღალი რისკის პოზიციებს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკის გამანეიტრალებელი საზომების მონიტორინგსა და დანერგვაზე, ასევე იმის უზრუნველყოფაზე, რომ „ჯგუფი“ ფუნქციონირებდეს დადგენილი რისკის პარამეტრებში. რისკების დეპარტამენტის უფროსი პასუხისმგებელია მთლიანი რისკის მართვასა და შესაბამისობის ფუნქციაზე, პრინციპებისა და მეთოდების დანერგვაზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსური და არაფინანსური რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებას, მართვასა და ანგარიშგებას. იგი პირდაპირ ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი დირექტორის და არაპირდაპირ - დირექტორთა საბჭოს წინაშე.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია აკონტროლოს „ჯგუფის“ შესაბამისობა რისკის ლიმიტსა და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან, რაც დადგენილია „ჯგუფის“ შიდა დოკუმენტაციით. „ჯგუფის“ რისკების მართვის პროცედურების ეფექტურობის კონტროლის და მათი თანმიმდევრული გამოყენების თვალსაზრისით, სამეთვალყურეო საბჭო და მართვის ორგანოები პერიოდულად იღებენ

შიდა აუდიტის და რისკების დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ანგარიშებს, განიხილავენ ანგარიშების შინაარსს და შემოთავაზებულ მაკორექტირებელ ქმედებებს.

ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) მართავს და აკონტროლებს საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდურობის რისკებს, როგორც პორტფელის, ისე ტრანზაქციის დონეზე. იმისათვის, რომ მიიღონ ეფექტური და ეფექტიანი გადაწყვეტილებები, „ჯგუფმა“ შეიმუშავა საკრედიტო კომიტეტის იერარქია, რომელიც დამოკიდებულია რისკის ტიპსა და თანხაზე.

გარე და შიდა რისკ ფაქტორების იდენტიფიცირება და მართვა ხორციელდება ორგანიზაციის მასშტაბით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკ ფაქტორების სრული სპექტრის იდენტიფიცირებას და მიმდინარე რისკების შემარბილებელ პროცედურებზე რწმუნების დონის განსაზღვრას. სტანდარტული საკრედიტო და საბაზრო რისკების ანალიზისგან დამოუკიდებლად, რისკების დეპარტამენტი მონიტორინგს უწევს ფინანსურ და არა-ფინანსურ რისკებს საოპერაციო ერთეულებთან რეგულარული შეხვედრებით, იმისთვის რომ მოისმინოს ექსპერტთა მოსაზრებები მათი საქმიანობის სფეროებთან დაკავშირებით.

**საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს მიაყენებს ფინანსურ ზარალს. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ბანკის მიერ კონტრაგენტებთან საკრედიტო და სხვა ტრანზაქციების განხორციელებით, რის შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივი.

ჯგუფი ახარისხებს მის მიერ ნაკისრ საკრედიტო რისკებს ერთ მსესხებელთან ან მსესხებელთა ჯგუფთან დაკავშირებული დასაშვები რისკის დონის დადგენით. ბანკმა შემდგომში დააფუძნა საკრედიტო კომიტეტის 3 დონე, რომელიც პასუხისმგებელია ინდივიდუალური მსესხებლებისთვის საკრედიტო ლიმიტის დამტკიცებაზე. თითოეული საკრედიტო კომიტეტის განხილვისა და დამტკიცების ზღვარი განსხვავდება სესხის ტიპის მიხედვით. მხოლოდ საცალო სესხები (ხელფასი/საკრედიტო ბარათი/ოვერდრაფტი) მაქსიმალური ოდენობით 20 ათასი ლარი გაცივმა ფილიალის დონეზე. კლიენტებთან ურთიერთობის მენეჯერები ავსებენ საკრედიტო განაცხადის ფორმებს, რომელსაც გადასცემენ შესაბამის საკრედიტო კომიტეტს ლიმიტის დასამტკიცებლად.

საკრედიტო რისკის მგრძობელობაზე მონიტორინგის განსახორციელებლად პორტფელის ანალიზის მენეჯერის მიერ იწერება და საკრედიტო რისკების დეპარტამენტის მიერ მიმოიხილება რეგულარული ანგარიშები. მონიტორინგი მოიცავს კლიენტის საქმიანობის ფინანსური შედეგების მიმოხილვას.

ბანკის ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის მიმართ მგრძობელობა შემდეგნაირად გამოიყურება:

	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული					
	მალალი შეფასება	სტანდარტული შეფასება	სტანდარტის ქვემოთ შეფასება	ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	ინდივიდუალურად გაუფასურებული	სულ
<b>2017</b>						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	46,514	-	-	-	-	46,514
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში	76,551	-	-	-	-	76,551
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>						
სამომხმარებლო სესხები	3,369	132,327	43,594	14,405	815	194,510
ბიზნეს სესხები	5,660	163,371	51,280	7,075	7,621	235,007
იპოთეკური სესხები	39	56,960	419	1,685	364	59,467
ოქროს სალომბარდო სესხები	62,350	1,342	5,430	36	36,406	105,564
	<b>71,418</b>	<b>354,000</b>	<b>100,723</b>	<b>23,201</b>	<b>45,206</b>	<b>594,548</b>
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	53,333	-	-	-	-	53,333
სხვა ფინანსური აქტივები	2,201	-	-	227	-	2,428
<b>სულ</b>	<b>250,017</b>	<b>354,000</b>	<b>100,723</b>	<b>23,428</b>	<b>45,206</b>	<b>773,374</b>



არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული

	მთლილი შეფასება	სტანდარტული შეფასება	სტანდარტის ქვემოთ შეფასება	ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული	მთლილი შეფასება	სტანდარტული შეფასება
<b>2016</b>						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	54,721	-	-	-	-	54,721
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში	72,573	-	-	-	-	72,573
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>						
სამომხმარებლო სესხები	2,202	82,166	49,964	12,961	417	147,710
ბიზნეს სესხები	19,191	127,444	22,198	8,585	7,475	184,893
იპოთეკური სესხები	-	35,145	465	2,180	478	38,268
ოქროს სალომბარდო სესხები	36,570	135	22,696	356	36,199	95,956
	<b>57,963</b>	<b>244,890</b>	<b>95,323</b>	<b>24,082</b>	<b>44,569</b>	<b>466,827</b>
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	29,465	-	-	-	-	29,465
სხვა ფინანსური აქტივები	1,232	-	-	233	-	1,465
<b>სულ</b>	<b>215,954</b>	<b>244,890</b>	<b>95,323</b>	<b>24,315</b>	<b>44,569</b>	<b>625,051</b>

ქვემოთ მოცემულია ვადაგადაცილებული სესხების ანალიზი ხანდაზმულობის მიხედვით. ვადაგადაცილებული სესხების უმრავლესობა არ ითვლება გაუფასურებულად მათი მთლიანი ხარისხისა და საკმარისი უზრუნველყოფის გამო.

„ჯგუფის“ „არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული ფინანსური აქტივები“ შემდეგი სახით კლასიფიცირდებიან:

- მთლილი შეფასება: არავადაგადაცილებული ფინანსური აქტივი, რომელიც უზრუნველყოფილია ანაბრით ან ძვირფასი ლითონებით. „ჯგუფი“ სებ-ში სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქებსა და ობლიგაციებს და სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატებს მიაკუთვნებს მთლიანი შეფასების ფინანსურ აქტივებს.
- სტანდარტული შეფასება: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი არავადაგადაცილებული ფინანსური აქტივი.
- სტანდარტის ქვემოთ შეფასება: არავადაგადაცილებული ფინანსური აქტივი, რომელიც უზრუნველყოფილია სხვა ტიპის აქტივით ან არ არის სრულად უზრუნველყოფილი.

ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული სესხების ხანდაზმულობის ანალიზი ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით შემდეგია:

'000 ლარი	30 დღეზე ნაკლები	31-დან 60 დღემდე	61-დან 90 დღემდე	90 დღეზე მეტი	სულ
<b>31 დეკემბერი 2017 წელი</b>					
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>					
სამომხმარებლო სესხები	6,283	1,235	1,002	5,885	14,405
ბიზნეს სესხები	3,636	1,305	641	1,493	7,075
იპოთეკური სესხები	598	119	22	946	1,685
ოქროს სალომბარდო სესხები	18	-	-	18	36
<b>სულ</b>	<b>10,535</b>	<b>2,659</b>	<b>1,665</b>	<b>8,342</b>	<b>23,201</b>
<b>'000 ლარი</b>					
<b>31 დეკემბერი 2016 წელი</b>					
<b>კლიენტებზე გაცემული სესხები</b>					
სამომხმარებლო სესხები	6,279	1,922	604	4,156	12,961
ბიზნეს სესხები	6,162	155	1,081	1,187	8,585
იპოთეკური სესხები	983	168	-	1,029	2,180
ოქროს სალომბარდო სესხები	356	-	-	-	356
<b>სულ</b>	<b>13,780</b>	<b>2,245</b>	<b>1,685</b>	<b>6,372</b>	<b>24,082</b>

„ჯგუფი“ ასევე ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოიქმნება გარანტიებისა და

აკრედიტივებისაგან. საკრედიტო რისკი გარე-საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტებისთვის განისაზღვრება იმ ზარალის მიღების შესაძლებლობით, რომელიც გამოწვეულია ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტორი მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით. პირობითი ვალდებულებების აღებისას ბანკი იყენებს იმავე საკრედიტო პოლიტიკას, რასაც საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, კრედიტის დამტკიცების დადგენილი პროცედურის, დაწესებული რისკის კონტროლის ლიმიტების და მონიტორინგის პროცედურების შესაბამისად.

*გაუფასურების შეფასება*

სესხების გაუფასურების შეფასებისას გაითვალისწინება ძირითადი თანხის ან პროცენტის ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტი ვადით, რაიმე სახის სირთულე კონტრაგენტის ფულად ნაკადებში, კრედიტუნარიანობის გაუარესება და ხელშეკრულების თავდაპირველი პირობების დარღვევის ფაქტს. ბანკი ახორციელებს სესხების გაუფასურების შეფასებას ორი მიმართულებით: ინდივიდუალურად და კოლექტიურად შეფასებული რეზერვებით.

*ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები*

თითოეული ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხისთვის ბანკი ინდივიდუალურად ადგენს შესაფერის რეზერვს. რეზერვის ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინება უზრუნველყოფის საგნის სარეალიზაციო ღირებულება და მომავალი ფულადი ნაკადები. გაუფასურების ზარალი ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის, თუ გაუთვალისწინებელი გარემოებები არ მიიქცევა ყურადღებას.

*კოლექტიურად შეფასებული რეზერვები*

გაუფასურების რეზერვის კოლექტიური შეფასების მეთოდი გამოიყენება იმ სესხებისთვის, რომლებიც არ არის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ან ინდივიდუალური მნიშვნელობის მქონე სესხებისათვის, სადაც არ ფიქსირდება ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების რეზერვი ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის და თითოეული პორტფელი განიხილება დამოუკიდებლად.

გაუფასურების კოლექტიური შეფასება ითვალისწინებს იმ გაუფასურებასაც, რომელიც შესაძლოა დაფიქსირდეს პორტფელში, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის მოხდენის ობიექტური მტკიცებულება ინდივიდუალურ შეფასების დროს არ არსებობს. გაუფასურების ზარალი განისაზღვრება პორტფელის ისტორიული დანაკარგების გათვალისწინებით.

ფინანსური გარანტიებისა და აკრედიტივების შეფასება და მათი ანარიცხების განსაზღვრა ხდება სესხების ანალოგიურად.

„ჯგუფის“ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

'000 ლარი	2017				2016			
	საქართველო		დსთ და სხვა		საქართველო		დსთ და სხვა	
	OECD	ქვეყნები	სულ	საქართველო	OECD	ქვეყნები	სულ	
აქტივები								
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	68,380	20,108	315	88,803	54,262	37,012	281	91,555
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში	76,551	-	-	76,551	72,573	-	-	72,573
კლიენტებზე გაცემული სესხები	546,277	5,669	7,996	559,942	423,541	3,459	7,943	434,943
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	53,333	-	-	53,333	29,465	-	-	29,465
სხვა ფინანსური აქტივები	2,428	-	-	2,428	1,465	-	-	1,465
	<b>746,969</b>	<b>25,777</b>	<b>8,311</b>	<b>781,057</b>	<b>581,306</b>	<b>40,471</b>	<b>8,224</b>	<b>630,001</b>

## ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. აქ იგულისხმება ფულის იმ საჭირო ოდენობის არსებობა, რომელიც დააკმაყოფილებს დეპოზიტების თანხების გატანას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ვალდებულებებს მათი ვადის დადგომის შემთხვევაში. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა ერთმანეთს არ ემთხვევა. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის თუ საპროცენტო განაკვეთის შესაბამისობა და/ან შეუსაბამობის კონტროლი უმნიშვნელოვანესია ფინანსური დაწესებულებების მართვისთვის.

ლიკვიდურობის რისკის სამართავად, „ჯგუფი“ ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებსა და საბანკო ოპერაციებზე მომავალში მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე, რაც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის შემადგენელ ნაწილს. მმართველობითი საბჭო აწესებს ლიმიტს დასაფარი თანხის მინიმალურ ნაწილზე ანაბრებიდან თანხის გატანის შემთხვევაში, ასევე ბანკთაშორისი და სასესხო საშუალებების იმ მინიმალურ ნაწილზე, რომელიც უნდა ეყოს თანხაზე მოთხოვნას როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ ვითარებაში. ისინი ასევე ადგენენ პარამეტრებს ვალდებულებების ბაზის რისკის დივერსიფიკაციისათვის.

„ჯგუფის“ ლიკვიდურობის პოლიტიკა მოიცავს შემდეგს:

- ფულადი ნაკადების პროგნოზირება და ლიკვიდური აქტივების საკმარისი დონის შენარჩუნება დროის სხვადასხვა მონაკვეთში ბანკის ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად;
- „ჯგუფის“ სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისი დაფინანსების გეგმის შენარჩუნება;
- დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას და ამით როგორც ქვეყნის შიდა, ისე უცხოური წყაროებიდან ბანკის მიერ სესხების მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესება;
- მაღალი ლიკვიდურობისა და მაღალი ხარისხის აქტივების შენარჩუნება;
- პროდუქტების ბაზის ცვლილება დროის შუალედში დაფინანსების არსებული წყაროების შესაბამისად;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტების ყოველდღიური მონიტორინგი მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; და
- დროის ნებისმიერ შუალედში აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურის მუდმივი მონიტორინგი.

„ჯგუფის“ სახაზინო ფუნქციები მოიცავს შემდეგ პასუხისმგებლობებს:

- სებ-ის ლიკვიდურობის მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე შესაბამისობა ლიკვიდურობის მოთხოვნების იმ მუხლებთან, რომლებიც შედის უცხოურ კრედიტორებთან დადებულ ხელშეკრულებებში;
- ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველდღიური ანგარიში, მათ შორის ხელმძღვანელობის ინფორმირება ძირითადი ვალუტების (ლარი, აშშ დოლარი, ევრო) ლიკვიდურობის დონის, ნაღდი ფულის პოზიციის შესახებ;
- ხელმძღვანელობისთვის წარდგენილი ყოველკვირეული ანგარიში ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზის შესახებ ძირითად ვალუტაში (ლარი, აშშ დოლარი, ევრო);
- ლიკვიდური აქტივების დონის მუდმივი კონტროლი/მონიტორინგი;
- დეპოზიტებისა და სხვა ვალდებულებების კონცენტრაციის მონიტორინგი; და
- სტრესულ ვითარებაში ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით ფულადი სახსრების სწრაფად გაზრდის გეგმის არსებობა.

„ჯგუფი“ აფასებს და ზედამხედველობას უწევს ლიკვიდურობის პოზიციას ცალკე აღებული კოეფიციენტების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია სებ-ს მიერ. სებ-ის მოთხოვნით, მინიმალური საშუალო თვიური ლიკვიდურობის კოეფიციენტი უნდა იყოს არანაკლებ 30%. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სახაზინო განყოფილების მიერ „ჯგუფის“ ლიკვიდურობის პოზიციის ჯეროვნად მართვა. რისკების მართვის განყოფილებას ევალება ამ საქმიანობათა გაკონტროლება. ლიკვიდურობის პოზიციასთან და მართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს იღებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი.

„ჯგუფი“ ინარჩუნებს 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გამოუყენებელ საკრედიტო ხაზს BSTDB-სთან (იხ. განმარტებითი შენიშვნა 10).

*ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით*

ცხრილში მოცემულია „ჯგუფის“ ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებზე დაყრდნობით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება მიღებულ იქნა დაუყოვნებლივ. ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. მათი ლიკვიდაცია ისტორიულად საჭიროებს უფრო მეტ დროს, ვიდრე ეს ცხრილებშია ნაჩვენები. ეს ნაშთები ცხრილებში გათვალისწინებულია სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში გადასახდელ თანხებში:

'000 ლარი	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>					
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან და დეპოზიტები და ვალდებულებები ბანკების წინაშე	43,802	7,520	37,673	6,654	95,649
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან	426,278	105,347	58,177	807	590,609
სხვა ფინანსური ვალდებულებები	11,933	-	-	-	11,933
სუბორდინირებული სესხები	286	2,925	11,961	26,455	41,627
<b>არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>482,299</b>	<b>115,792</b>	<b>107,811</b>	<b>33,916</b>	<b>739,818</b>

'000 ლარი	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
<b>2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>					
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>					
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან და დეპოზიტები და ვალდებულებები ბანკების წინაშე	3,325	2,874	5,534	-	11,733
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან	377,068	126,189	29,801	564	533,622
სხვა ფინანსური ვალდებულებები	11,389	-	-	-	11,389
სუბორდინირებული სესხები	733	3,284	14,290	28,949	47,256
<b>არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>392,515</b>	<b>132,347</b>	<b>49,625</b>	<b>29,513</b>	<b>604,000</b>

„ჯგუფი“ განიხილავს მისი ფინანსური გარანტიების და გამოუყენებელი სესხის გაცემის ვალდებულებების მაქსიმალურ ლიკვიდურობის რისკს 3 თვეზე ნაკლები ვადით, რადგან ეს არის ყველაზე ადრეული პერიოდი, როდესაც შესაძლებელი გახდება გარანტიის გამოთხოვნა ან სესხის გაცემის ვალდებულების გამოყენება. ამასთან, განვლილი გამოცდილების საფუძველზე, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ „ჯგუფის“ ლიკვიდურობის რისკი დამოკიდებულია მის ფინანსურ ვალდებულებებისა და გაუთვალისწინებელი ვითარებების სახელშეკრულებო ვადებზე:

ლარი '000	3 თვეზე ნაკლები	3-დან 12 თვემდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
31 დეკემბერი 2017 წელი	11,788	12,122	36,407	2,087	62,404
31 დეკემბერი 2016 წელი	10,625	10,823	17,343	49	38,840

„ჯგუფს“ აქვს მოლოდინი, რომ ყველა პირობითი ვალდებულება არ იქნება გამოყენებული ვალდებულებების ვადის ამოწურვამდე.

**საბაზრო რისკი**

საბაზრო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ხასიათდება მერყეობით, რაც გამოწვეულია საბაზრო ფასების ცვლილებით. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის და ფასებთან დაკავშირებულ სხვა რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის ღია პოზიციების გამო,

რომლებიც ექვემდებარება ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს, აგრეთვე საბაზრო ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების მერყეობას. საბაზრო რისკების მართვის მიზანია ბაზარზე არსებული რისკის შეფასების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში.

ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებს „ჯგუფი“ მართავს, სებ-ის მიერ დაწესებული კოეფიციენტების მეშვეობით. ამ ლიმიტების მონიტორინგი წარმოებს ყოველდღიურად და არის მმართველთა საბჭოს ზედამხედველობის ქვეშ.

### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის მერყეობის გამო. „ჯგუფის“ მიერ მიღებული სესხების ნაწილს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი აქვს, ხოლო „ჯგუფის“ ანაზრები და სასესხო პორტფელის უმრავლესობა ფიქსირებულ განაკვეთს ატარებენ. სებ-ი იხდის ცვალებად საპროცენტო განაკვეთს „ჯგუფის“ მიერ ეროვნულ ბანკში განთავსებულ ნომინალურ რეზერვებზე. „ჯგუფს“ ასევე აქვს ცვალებად-განაკვეთიანი გაცემული სესხები. ეს ფინანსური აქტივები ანეიტრალბენ ნასესხებ თანხებზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილებით გამოწვეული ეფექტს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეჯამებულია ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის 100 ძირითადი პუნქტით („ძპ“) ცვლილების გავლენა „ჯგუფის“ კაპიტალზე:

ლარი '000	2017	2016
ფინანსური აქტივები	135,185	84,872
ფინანსური ვალდებულებები	(40,763)	(10,587)
<b>წმინდა საპროცენტო მგრძობელობის პოზიცია</b>	<b>94,422</b>	<b>74,285</b>
<b>ბაზრის საპროცენტო განაკვეთის 100 ძპ-იანი მატება</b>	<b>802</b>	<b>631</b>
<b>ბაზრის საპროცენტო განაკვეთის 100 ძპ-იანი კლება</b>	<b>(802)</b>	<b>(631)</b>

### საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი პროცენტის მატარებელი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ეს საპროცენტო განაკვეთები წარმოადგენენ ამ აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის მომენტამდე უკუგების მიახლოებულ შეფასებას.

	2017			2016		
	საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %			საშუალო ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, %		
	ლარი	დოლარი	ვალუტა	ლარი	დოლარი	ვალუტა
<b>პროცენტის მატარებელი აქტივები</b>						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	-	-	6	-	-
კლიენტებზე გაცემული სესხები	14	10	8	14	11	9
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	9	-	-	10	-	-
<b>პროცენტის მატარებელი ვალდებულებები</b>						
ანაზრები ბანკებში	7	4	-	-	-	-
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	10	7	-	-	6	-
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან	7	3	2	7	4	1
სუბორდინირებული სესხები	-	6	-	-	8	-

### სავალუტო რისკი

„ჯგუფს“ გააჩნია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები. სავალუტო რისკი არის რისკი, ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ხასიათდება შეიცვლება გაცვლითი კურსის მერყეობის გამო.

ცხრილში ნაჩვენებია უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლარი '000	აშშ		სხვა		სულ
	ლარი	დოლარი	ევრო	ვალუტები	
<b>31 დეკემბერი 2017</b>					
<b>აქტივები</b>					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	30,650	23,891	32,956	1,306	88,803
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში	-	63,333	13,218	-	76,551
კლიენტებზე გაცემული სესხები	221,499	313,109	25,334	-	559,942
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	53,333	-	-	-	53,333
სხვა ფინანსური აქტივები	578	437	1,413	-	2,428
<b>სულ აქტივები</b>	<b>306,060</b>	<b>400,770</b>	<b>72,921</b>	<b>1,306</b>	<b>781,057</b>
<b>ვალდებულებები</b>					
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან და დეპოზიტები და ვალდებულებები ბანკების წინაშე	64,292	17,844	30	-	82,166
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან	196,644	308,871	72,983	1,128	579,626
სუბორდინირებული სესხები	-	31,706	-	-	31,706
სხვა ფინანსური ვალდებულებები	6,083	5,647	195	8	11,933
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>267,019</b>	<b>364,068</b>	<b>73,208</b>	<b>1,136</b>	<b>705,431</b>
<b>წმინდა საბალანსო პოზიცია</b>	<b>39,041</b>	<b>36,702</b>	<b>(287)</b>	<b>170</b>	<b>75,626</b>
<b>წარმოებული ინსტრუმენტების გავლენა წმინდა პოზიცია</b>	<b>32,878</b>	<b>(32,878)</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>წმინდა პოზიცია</b>	<b>71,919</b>	<b>3,824</b>	<b>(287)</b>	<b>170</b>	<b>75,626</b>

'000 ლარი	აშშ		სხვა		სულ
	ლარი	დოლარი	ევრო	ვალუტა	
<b>31 დეკემბერი 2016 წელი</b>					
<b>აქტივები</b>					
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26,040	39,462	23,472	2,581	91,555
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში	-	62,422	10,151	-	72,573
კლიენტებზე გაცემული სესხები	147,012	272,487	15,444	-	434,943
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	29,465	-	-	-	29,465
სხვა ფინანსური აქტივები	247	670	546	2	1,465
<b>სულ აქტივები</b>	<b>202,764</b>	<b>375,041</b>	<b>49,613</b>	<b>2,583</b>	<b>630,001</b>
<b>ვალდებულებები</b>					
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან და დეპოზიტები და ვალდებულებები ბანკების წინაშე	416	10,696	-	-	11,112
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან	180,623	288,273	49,250	2,456	520,602
სუბორდინირებული სესხები	-	33,705	-	-	33,705
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,967	8,302	120	-	11,389
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>184,006</b>	<b>340,976</b>	<b>49,370</b>	<b>2,456</b>	<b>576,808</b>
<b>წმინდა საბალანსო პოზიცია</b>	<b>18,758</b>	<b>34,065</b>	<b>243</b>	<b>127</b>	<b>53,193</b>
<b>წარმოებული ინსტრუმენტების გავლენა წმინდა პოზიცია</b>	<b>34,439</b>	<b>(34,439)</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>წმინდა პოზიცია</b>	<b>53,197</b>	<b>(374)</b>	<b>243</b>	<b>127</b>	<b>53,193</b>

ლარის (შესუსტება)/გამყარება (როგორც ქვემოთაა აღწერილი) დოლარის მიმართ 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაზრდიდა კაპიტალსა და მოგება ზარალს იმ რაოდენობით, რაც ქვემოთაა ნაჩვენები. ეს ანალიზი არის საშემოსავლო გადასახადის ეფექტის გათვალისწინებით და ემყარება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებას, რასაც „ჯგუფი“ საანგარიშო პერიოდის ბოლოს მიიჩნევს მიზანშეწონილად. ანალიზი გულისხმობს, რომ ყველა სხვა ცვლადი, განსაკუთრებით, საპროცენტო განაკვეთი, დარჩება უცვლელი.

ლარი '000	2017	2016
აშშ დოლარის 10%-იანი შესუსტება ლართან მიმართებაში	(325)	32
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება ლართან მიმართებაში	325	(32)

წლის განმავლობაში გამოყენებული მნიშვნელოვანი სავალუტო კურსი:

ლარი	საშუალო განაკვეთი		გაცვლითი კურსი საანგარიშო	გაცვლითი კურსი საანგარიშო
	2017	2016	პერიოდის ბოლოს 31 დეკემბერი 2017	პერიოდის ბოლოს 31 დეკემბერი 2016
1 აშშ დოლარი	2.5086	2.3667	2.5922	2.6468
1 ევრო	2.8322	2.6172	3.1044	2.7940

### ფასთან დაკავშირებული სხვა რისკი

ფასთან დაკავშირებული სხვა რისკი არის რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილების გამო (გარდა საპროცენტო განაკვეთის ან სავალუტო რისკებისა), თუკი ეს ცვლილებები გამოწვეულია ინდივიდუალური ფინანსური ინსტრუმენტის ან მისი გამომშვებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით, ან სხვა ფაქტორებით, რომლებიც გავლენას ახდენს ბაზარზე არსებულ ყველა მსგავს ფინანსურ ინსტრუმენტზე. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ჯგუფი“ მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული ფასთან დაკავშირებულ სხვა რისკზე.

### საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა მონიტორინგის სისტემა და პოტენციურ რისკებზე რეაგირება, შესაძლებელია იყოს რისკების მართვის ეფექტური ინსტრუმენტი. კონტროლის სისტემა უნდა ითვალისწინებდეს მოვალეობების ეფექტურ განაწილებას, წვდომის, უფლებამოსილების მინიჭებასა და შედარების პროცედურებს, კადრების მომზადების და შეფასების პროცესებს, მათ შორის შიდა აუდიტის გამოყენებას.

## 22. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

სამართლიანი ღირებულება კლასიფიცირდება სხვადასხვა დონეებად სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (არაკორექტირებული) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: აქტივების ან ვალდებულებების ფასის პირდაპირ ან ირიბი მახასიათებლები (მაგ. ფასი ან ფასისგან მიღებული მონაცემები) რომლებიც არ განეკუთვნება პირველ დონეს.
- დონე 3: მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნებიან დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები შეიძლება დაჯგუფდეს სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებად, სამართლიანი ღირებულების შეფასება მთლიანობაში კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, როგორც ყველაზე დაბალი დონის მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

„ჯგუფის“ შეფასებით, ფინანსური აქტივებისა (ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდები და ობლიგაციები, კლიენტებზე გაცემული სესხები და სხვა ფინანსური აქტივები) და ფინანსური ვალდებულებების (სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან, ანაზრები და ნაშთები ბანკებიდან, სხვა ფინანსური ვალდებულებები, სუბორდინირებული სესხები) სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით კლასიფიცირდება იერარქიის მეორე დონეში, იმის გამო, რომ გამოიყენება შეფასების მოდელი, სადაც ყველა მნიშვნელოვანი შემავალი მონაცემი ხელმისაწვდომია.

სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა შეესაბამებოდეს აქტივის გაყიდვის ფასს ან მხარეებს შორის დადებული ჩვეულებრივი გარიგების საფუძველზე ვალდებულების გადაცემის ფასს შეფასების დღისათვის. თუმცა, გაურკვევლობის და შეფასების სუბიექტურობის გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც დაუყოვნებლივ რეალიზებადი აქტივის ან ვალდებულების გადაცემის ღირებულება.

„ჯგუფმა“ სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდების გამოყენებით. შეფასების მეთოდების გამოყენების მიზანია სამართლიანი ღირებულების დადგენა, რომელიც ასახავს აქტივის გაყიდვის ფასს ან მხარეებს შორის დადებული ჩვეულებრივი გარიგების საფუძველზე ვალდებულების გადაცემის ფასს შეფასების დღისათვის. გამოყენებული შეფასების მეთოდი დაფუძნებულია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელზე.

იმ ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მქონე ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, უდრის მათ საბალანსო ღირებულებას. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე არაკოტირებადი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება დადგინდა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა მიღება სავარაუდოა ახალი ინსტრუმენტებისთვის მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებით, იგივე საკრედიტო რისკით და დაჩენილი ვადით.

## 23. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმის მიხედვით, თუ როდის უნდა მოხდეს ხელშეკრულების მიხედვით მათი ამოღება ან დაფარვა.

	2017			2016		
	ერთი წლის ვადაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ	ერთი წლის ვადაში	ერთ წელზე მეტ ვადაში	სულ
<b>ლარი '000</b>						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	88,803	-	88,803	91,555	-	91,555
სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტი სებ-ში	76,551	-	76,551	72,573	-	72,573
კლიენტებზე გაცემული სესხები	241,945	317,997	559,942	207,980	226,963	434,943
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	6,864	46,469	53,333	3,486	25,979	29,465
სხვა ფინანსური აქტივები	2,221	207	2,428	1,253	212	1,465
<b>სულ</b>	<b>416,384</b>	<b>364,673</b>	<b>781,057</b>	<b>376,847</b>	<b>253,154</b>	<b>630,001</b>
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან და დეპოზიტები და ვალდებულებები ბანკების წინაშე	50,905	31,261	82,166	5,815	5,297	11,112
მიმდინარე ანგარიშები და დეპოზიტები კლიენტებისგან	522,889	56,737	579,626	495,714	24,888	520,602
სუბორდინირებული სესხები	1,375	30,331	31,706	1,407	32,298	33,705
სხვა ფინანსური ვალდებულებები	11,933	-	11,933	11,389	-	11,389
<b>სულ</b>	<b>587,102</b>	<b>118,329</b>	<b>705,431</b>	<b>514,325</b>	<b>62,484</b>	<b>576,808</b>
<b>წმინდა დამოკიდებულება</b>	<b>(170,718)</b>	<b>246,344</b>	<b>75,626</b>	<b>(137,478)</b>	<b>190,671</b>	<b>53,193</b>

„ჯგუფის“ მიერ ვალდებულებების დაფარვის უნარი დამოკიდებულია მის მიერ დროის იმავე მონაკვეთში ეკვივალენტური ოდენობის აქტივების რეალიზაციაზე.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტების მიმდინარე ანგარიშებმა შეადგინა 139,371 ათასი ლარი (2016 წელს: 241,063 ათასი ლარი). „ჯგუფი“ ყოველთვიურად ატარებს კლიენტების მიმდინარე ანგარიშების ნაწილის სტაბილურობის ანალიზს წინა ორი წლის პერიოდისთვის. გასული 24 თვის განმავლობაში ყოველი თვის ბოლოს მიმდინარე ანგარიშების ნაშთები არ ყოფილა



119,074 ათას ლარზე ნაკლები (2016 წელს: 150,639 ათასი ლარი)\*. მთლიანი მიმდინარე ანგარიშების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშები, რომლებიც, როგორც წესი, გრძელვადიანია. შესაბამისად, ბანკის ლიკვიდურობის პოზიციის დასადგენად გონივრულია ამ თანხების ასახვა ერთ წელზე მეტი ვადით.

\*რიცხვები არააუღიარებულია.

## 24. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

### (ა) მაკონტროლებელი ურთიერთობები

„ჯგუფს“ არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე ან საბოლოო ან პირდაპირი მშობელი კომპანია. „ჯგუფის“ აქციონერთა სტრუქტურა მოცემულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პირველ განმარტებით შენიშვნაში.

### (ბ) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომლებზე გაწეული ხარჯებიდან წამყვანი ხელმძღვანელობის მთლიანი ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

‘000 ლარი	2017	2016
ხელფასები და სხვა სარგებელი	1,293	1,253

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ჯგუფმა“ გასცა 75 ათასი ლარის (2016 წელს: 98 ათასი ლარი) ოდენობის სესხები წამყვან ხელმძღვანელობაზე. სესხები ძირითადად გრძელვადიანია და ატარებენ საშუალო საპროცენტო განაკვეთს 13%-ის ოდენობით. 2017 წელს წამყვან ხელმძღვანელობაზე გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 10 ათას ლარს (2016 წელს: 26 ათასი ლარი).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წამყვან ხელმძღვანელობას განთავსებული ჰქონდა 301 ათასი ლარის ღირებულების ანგარიშები „ჯგუფში“ (2016 წელს: 579 ათასი ლარი). მათი საშუალო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 3.8%-ს და მათი ვადიანობა გრძელდება საანგარიშგებო თარიღიდან 1 წლის მანძილზე. 2017 წლის განმავლობაში წამყვანი ხელმძღვანელობის ვადიან დეპოზიტებზე დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 21 ათასი ლარი (2015 წელს: 16 ათასი ლარი).

### (გ) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

‘000 ლარი	ოპერაციის ღირებულება 2017	გადასახდელი ბალანსი 2017	ოპერაციის ღირებულება 2016	გადასახდელი ბალანსი 2016
სხვა დაკავშირებული მხარეები (საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები)				
სუბორდინირებული ვალი	-	20,742	-	21,181
მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი დეპოზიტები	-	12,601	-	2,632

სუბორდინირებული ვალის ვადები და პირობები წარმოდგენილია მე-11 განმარტებით შენიშვნაში. 2017 წლის განმავლობაში 905 ათასი ლარის (2016 წელს: 1,389 ათასი ლარი) ოდენობით საპროცენტო ხარჯი დაერიცხა დაკავშირებული მხარისგან ადებულ სუბორდინირებულ სესხს. მიმდინარე ანგარიშები და ვადიანი დეპოზიტები ძირითადად არის პროცენტის გარეშე და მოთხოვნამდე. დაკავშირებული მხარეების ვადიან დეპოზიტებს დაერიცხა 50 ათასი ლარის ოდენობით საპროცენტო ხარჯი (2016 წელს: 419 ათასი ლარი).

## 25. კაპიტალის ადეკვატურობა

„ბანკი“ ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესისთვის თანდაყოლილი რისკების მართვის მიზნით. „ბანკის“ კაპიტალის ადეკვატურობა სხვადასხვა საზომებით მოწმდება, მათ შორის სებ-ის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით, რისი საშუალებითაც ის ზედამხედველობას უწევს ბანკებს.

„ბანკის“ კაპიტალის მართვის მთავარი მიზნებია (i) იმის უზრუნველყოფა, რომ ორგანიზაცია აკმაყოფილებს გარე მხარის, სეზ-ის მიერ დაწესებულ მოთხოვნებს კაპიტალთან დაკავშირებით, (ii) იმის უზრუნველყოფა, რომ „ბანკს“ შეუძლია ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა, რისი მონიტორინგიც ყოველთვიურად ხორციელდება და რომლებიც შესაბამისი გათვლების საშუალებით შემდგომში განიხილება და ეგზავნება სეზ-ს.

„ბანკი“ მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტირების მიზნით, „ბანკმა“ შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდის მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გამოუშვას აქციები. „ბანკის“ მიზნები, სტრატეგია და პროცედურები არ შეცვლილა გასულ წლის შემდეგ.

2017 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბანკი“ აკმაყოფილებს კაპიტალთან დაკავშირებით ყველა გარედან დაკისრებულ მოთხოვნას.

### სეზ-ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი

Basel I-ის სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე, სეზ-ი ბანკებისგან მოითხოვს მინიმალური მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის შენარჩუნებას რისკებთან შეწონილი აქტივების 9,6%-ის (2016 წელს: 10,8%) ოდენობით და პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტს 6,4%-ის (2016 წელს 7,2%) ოდენობით, რაც გამოითვლება „ბანკის“ დამოუკიდებელი, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც მზადდება სეზ-ის რეგულაციებისა და აქტების შესაბამისად. 31 დეკემბრის მდგომარეობით, „ბანკის“ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

'000 ლარი	2017	2016
ძირითადი კაპიტალი*	70,157	82,902
დამატებითი კაპიტალი*	55,067	23,933
<b>სულ საზედამხედველო კაპიტალი*</b>	<b>125,224</b>	<b>106,835</b>
<b>რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები*</b>	<b>871,933</b>	<b>711,096</b>
მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი*	14.36%	15.02%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი*	8.05%	11.66%

სეზ-ი ასევე მოითხოვს კაპიტალის ადეკვატურობის შეფასებისას ყველა ბანკი აკმაყოფილებდეს Basel II/III-ის მოთხოვნებს. 2017 წლის დეკემბრის თვეში, სეზ-მა დაანერგა კაპიტალის განახლებული სტრუქტურა, რომელიც მეტად შეესაბამება Basel III-ის მოთხოვნებს. განახლებული სტრუქტურის ფარგლებში, კაპიტალის მოთხოვნები, კაპიტალის ბუფერს 2 კომპონენტად ყოფს. „ბანკის“ Basel II/III-ის არსებულ საფუძველზე დათვლილი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შემდეგია:

ლარი '000	2017	2016
ძირითადი კაპიტალი*	86,419	68,835
დამხმარე კაპიტალი*	35,691	36,117
<b>სულ საზედამხედველო კაპიტალი*</b>	<b>122,110</b>	<b>104,952</b>
<b>რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები*</b>	<b>727,269</b>	<b>597,820</b>
მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები	13.14%	13.36%
მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი *	16.79%	17.56%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები	10.48%	10.65%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი*	11.88%	11.51%

2016 წლიდან 2017 წლის დეკემბრამდე სებ-ის ადრე მოქმედი Basel II/III-ის რეგულაციებით კაპიტალის კოეფიციენტები იყო შემდეგი:

	2017	2016
მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები	10.50%	10.50%
მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი *	13.17%	13.40%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნები	8.5%	8.5%
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი*	9.10%	8.63%

\*რიცხვები არააუდირებულია.

## 26. პირობითი ვალდებულებები

### სასამართლო დავა

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში „ჯგუფის“ მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები და საჩივრები. ხელმძღვანელობა თვლის, რომ ვალდებულების მაქსიმალური რაოდენობა, რაც კი შეიძლება წარმოიშვას ასეთი სამართლებრივი ქმედებების ან საჩივრების შედეგად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იქონიებს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ფინანსურ ან მომავალ საოპერაციო შედეგებზე.

### პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია, რაც ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების გაკეთების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს დამრღვევს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი.

ამ გარემოებამ შესაძლოა შექმნას საგადასახადო რისკები, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მაღალია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „ჯგუფის“ ინტერპრეტაციისგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## 27. საანგარიშგებო თარიღის შემდეგი მოვლენები

2018 წლის მარტში, „ბანკმა“ დაბი კონტრაქტინგისგან მიიღო სესხი 2,500 ათასი ლარის ოდენობით, ექვსწლიანი დაფარვის ვადით.